ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 10 ივნისი, 2021 №103 (8632) ფასი: 60 თეთრი

ნაზი ჯანეზაშვილი: „სასამართლოში ერთმანეთის ნათესავებს ასაქმებენ“

გვ.5



„ყვირი, ვინც შევა, მოღალატეო და მერე შენ შედიხარ?!“

თორნიკე შარაშენიძე: „ოპოზიციამ საკუთარ ამომრჩევლებსაც გაუცრუა იმედები და დასავლეთსაც“

გვ.3

„გახარიამ ივანიშვილს უთხრა, მე ვარ სანდო პარტნიორი და არა კობახიძეო“

გვ.2

ნიკა ჩიტაძე: „დაქსაქსულ ოპოზიციას „ოცნების“ დამარცხება გაუჭირდება. ნაციონალების გადაწყვეტილება მკაფიო უნდა ყოფილიყო“

გვ.4

„ვადამდელ არჩევნებზე „ოცნება“ კოალიციას გახარიასთან შეკრავს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ბრძოლა უნდა იყოს ერთადერთი მიზნით, რომ ამ ქვეყანაში ივანიშვილის ერთპიროვნული მმართველობა დასრულდეს“

გვ.4

„ივანიშვილის მიზანი კოლექტიური ნაცების დაბრუნებაა“

ლევან ჩაჩუა: „გახარიამ „ქართულ ოცნებას“ ელექტორატის ნაწილი უნდა წაართვას“

„ჰესის მშენებლობით ხალხი უნდა სარგებლობდეს და არა ერთი პირი“

გვ.4

ჯონდი ბაღათურია: „ჩვენ არ ვამბობთ, რომ რომელიმე თურქულმა, ფრანგულმა, გერმანულმა თუ ამერიკულმა კომპანიამ არ უნდა ისარგებლოს“

ISSN 1987-9385

2 ნიკა მელია: „აქ შემოვედი იმისთვის, რომ უმრავლესობის თითოეული წევრი სათითაოდ გაგიყვანოთ ამ დარბაზიდან“

2 კობახიძე: „მელიას კაცობის ნიშანწყალიც კი არ აქვს“

5 პროკურატურამ საფრანგეთის მოქალაქეების ფულის თაღლითურად დაუფლების ფაქტი გამოავლინა

ადიგენის პოლიციის უფროსს, თამაზ ფაილოძეს, დევნაში ადანაშაულებენ

6 ვაშინგტონში აცრის მსურველებს ლუდს ან მარიხუანას აჩუქებენ

„გახარიამ ივანიშვილს უთხრა, მე ვარ სანდო პარტნიორი და არა კობახიძეო“

ნიკა ჩიტაძე: „დაქსაქსულ ოპოზიციას „ოცნების“ დამარცხება გაუჭირდება. ნაციონალების გადაწყვეტილება მკაფიო უნდა ყოფილიყო“

იაგო ნაცვლიშვილი

დაიწყო თუ არა გიორგი გახარიამ კარტების გახსნა? რატომ იქცნენ მისთვის განტევების ვაცებად კობახიძე და მელია და არა ივანიშვილი და სააკაშვილი? ხომ არ უნდა, გაიხადოს ის ირიბ პარტნიორად ოპოზიციამ? რას მოუტანს ნაციონალურ მოძრაობას პარლამენტში შესვლა და ხომ არ დააკარგვინებს ამომრჩეველს? შეძლებს თუ არა ოპოზიცია თანამშრომლობას? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.

– გახარიამ უფრო მეტი თქვა, ვიდრე აქამდე ჰქონდა ნათქვამი. დაიწყო თუ არა მან კარტების გახსნა?

– გარკვეულწილად, შესაძლებელია, დაიწყო. ორი ვარიანტის განხილვა შეგვიძლია: ის ან ივანიშვილის პროექტია და ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ივანიშვილის განცხადება, რომ მუდმივად ვერ იქნება ხელისუფლებაში „ოცნება“ და შესაძლოა, სხვა პოლიტიკურმა ძალამ ჩაანაცვლოს. ბუნებრივია, ის არ გულისხმობდა ნაცმოძრაობას. დაინტერესებული შეიძლება იყოს, რომ მთავარი ოპოზიციური ძალა გახდეს გახარიას პარტია. მას აქვს გარკვეული რეიტინგი და გვახსოვს, რომ სოციოლოგიურ გამოკითხვებში ის ლიდერობდა „ოცნების“ ლიდერებს შორის. იქმნება იმიტაცია, რომ გახარია რეალური ოპოზიციაა, რათა მან წაართვას ხმები მათაც, ვინც „ოცნებას“ არ უჭერს მხარს და მათ შორის ნაცმოძრაობასაც წაართვას ხმები.

მეორე ვარიანტია, რომ გახარია არ არის ივანიშვილის პროექტი და დამოუკიდებელი თამაშის წარმოებას ცდილობს. ამის საფუძველს გვაძლევს ის, რომ როდესაც გახდა პრემიერი, ის არ იყო დამოუკიდებელი, ისევე, როგორც კვირიკაშვილი, რომელმაც თქვა, პრემიერობის პირველ წლებში ივანიშვილისგან თავისუფლება მქონდა მონიჭებულიო. ეს ნიშნავს, რომ ყველა პრემიერს ივანიშვილი აკონტროლებდა, მათ შორის გახარიასაც. გახარიას აქვს პრეტენზია, რომ ახლა უნდა იყოს დამოუკიდებელი.

– არ ერეოდაო, ამბობს გახარია, თუმცა აქცენტი გააკეთა უხილავ ხელზე.

– კი ბატონო. კითხვები შეიძლება არსებობდეს, რატომ საუბრობს დღეს იმაზე, რომ, ვთქვათ, 20 ივნისს „ოცნების“ წევრები იმალებოდნენ. რატომ საუბრობს კორუფციასა და ნეპოტიზმზე და ხელისუფლებაში ყოფნის დროს ამბობდა, რომ ეს ნეპოტიზმი კი არ იყო, არამედ ეს მოხდა „ქართულ ჯიგრულ პონტში“. კითხვები არსებობს, მაგრამ ეს ორი ვარიანტია.

ის ცდილობს, მესამე ძალის ნიშა დაიკავოს და აქცენტს აკეთებს მერყეევ ამომრჩეველზე. 30-50%-ს არ აქვს გადაწყვეტილი, ვის მისცემს ხმას და ბოლო დღეს იღებს ხოლმე გადაწყვეტილებას. არიან ადამიანები, რომლებსაც არც „ოცნება“ უნდათ და არც ნაცმოძრაობა, საერთოდ ნიჰილისტურად არიან განწყობილნი პოლიტიკური პროცესების მიმართ.

– იმაზე, რომ მას აქვს პერსპექტივა, მესამე ძალის ნიშა დაიკავოს, ისიც ხომ არ მეტყველებს, რომ მას „ურტყამენ“ როგორც „ოცნება“, ისე ნაცმოძრაობა და დანარჩენი ოპოზიცია?

– კი, „ურტყამენ“. ის თითქოს მიუღებელია „ოცნებისთვის“. დრო გვიჩვენებს, თამაშობს თუ არა ივანიშვილის თამაშს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, უპირისპირდება „ქართულ ოცნებას“ და, მეორე მხრივ – ნაცმოძრაობასაც, ცდილობს, რომ არც ერთ გუნდთან არ იყოს კავშირში. არჩევნების შედეგები გვიჩვენებს, მაგრამ, მე მაინც ვფიქრობ, რომ მას ვერ ჩავთვლით მესამე ძალად. გარკვეული გავლენა ექნება, მაგრამ, არა მგონია, მისმა პარტიამ 10%-ზე მეტი მიიღოს არჩევნებზე.

– ოპოზიცია ამბობს, რომ გახარია ხმებს წაართმევს „ოცნებას“. მაშინ მას არ უნდა აწყობდეს გახარია იმისათვის, რომ „ოცნებამ“ ვერ მოაგროვოს 43% და რატომ არ შეიძლება, ის განიხილონ ირიბ პარტნიორად? მართალია, პრემიერმა გვითხრა, 53%-ს ავიღებთო, თუმცა რეალობა ხომ სხვაა?

– რეალობა სხვაა, მაგრამ ადმინისტრაციული რესურსია სახელისუფლებო პარტიის ხელში და პრობლემა ეს არის. მე მაინც იმის თქმა მინდა, რომ თანამშრომლობა არც ერთს არ აწყობს: არც პარტია „საქართველოსთვის“ წარმომადგენლებს და არც ნაცმოძრაობას. ვინც გახარიას უჭერს მხარს, ის ნაცმოძრაობას არ უჭერს, ამიტომაც მათთვის მიუღებელი იქნება თანამშრომლობა.

– თანამშრომლობას არ ვგულისხმობ, არაპირდაპირ პარტნიორობაზე ვსაუბრობ.

– არაპირდაპირი შეიძლება. ვიცით, რომ პარტიები ხვდებოდნენ ერთმანეთს და აქ ალბათ გამორიცხულია გახარიას ხილვა. ავტომატურად ერთმანეთის თამაში შეიძლება ითამაშონ, თუმცა, არა მგონია, შეხვედრა შედგეს. თანამშრომლობა ნაცმოძრაობასაც არ აწყობს, ვინაიდან ამომრჩეველს ექნება პრეტენზია, თუ მას თვალთხარიას ეძახდი, რატომ თანამშრომლობო. „ოცნების“ ოპონენტობა აპრიორი არ ნიშნავს, რომ გახარია დემოკრატია.

– „რეაქციისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გახარიამ აქცენტი გააკეთა არა ივანიშვილსა და სააკაშვილზე, არამედ მისთვის განტევების ვაცებად იქცნენ ირაკლი კობახიძე და ნიკა მელია. რატომ?

– მან თქვა, რომ ივანიშვილს არ ემორჩილებოდა, მაგრამ პირდაპირ არ აკრიტიკებს ივანიშვილს. ეს, შესაძლოა, მინიშნება იყოს ივანიშვილისთვის, მე ვარ სანდო პარტნიორი და არა კობახიძე ან ღარიბაშვილიო.

– რაც შეეხება მიშას კონტექსტს?

– მიშა პოლიტიკურ პროცესებში კი მონაწილეობს, მაგრამ – ირიბად. ის არ არის საქარ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ნიკა მელია: „აქ შემოვედი იმისთვის, რომ უმრავლესობის თითოეული წევრი სათითაოდ გაგიყვანოთ ამ დარბაზიდან“

– მე შემოვედი აქ იმისთვის, რომ თითოეული თქვენგანი სათითაოდ გაგიყვანოთ ამ დარბაზიდან და ამის შემდეგ საზოგადოებას მიეცეს შესაძლებლობა, აირჩიოს ნამდვილი პარლამენტი და აირჩიოს ლეგიტიმური ხელისუფლება ზუსტად იმ პროპორციით, რომელსაც საზოგადოება გაიმეტებს თქვენთვის და არა ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც საკანონმდებლო ორგანო ნოტარიალურ კანტორად აქცია. ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა ნიკა მელიამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მელიას თქმით, უმრავლესობის წევრები არ ეკუთვნიან საკუთარ თავს და პოლიტიკურად არანაირი კაპიტალი არ აქვთ.

– გადაჭარბების გარეშე იქნება ნათქვამი, ალბათ, ყველას ძალიან კარგად ესმის, რომ ამ ტრიბუნასთან მოსასვლელად ემოციური დისკომფორტის დაძლევა მიწევს. ეს რომ სხვაგვარად იყოს, გასაკვირი იქნებოდა, ვინაიდან ამ დარბაზში მყოფთა დიდმა ნაწილმა თითი მიაჭირა ღილაკს ორჯერ და პირადად მიიღეთ მონაწილეობა პოლიტიკური ოპონენტის ციხეში ჩასმის, ჩემი აზრით, თქვენთვისაც კი ძალიან სამარცხვინო გადაწყვეტილებაში. თუმცა ჩემი თქვენგან დასაჭერად გადადებულის დისკომფორტი არაფერია იმასთან შედარებით, თუ რა დისკომფორტს განიცდის დღეს ჩვენი ხალხი და რას გრძნობს ჩვენი ხალხი, რომელიც იძულებულია, დღეს ამ თავყრილობას პარლამენტი უწოდოს, თანაც იცოდეს, რომ ერს ყველაფერი არ შეესაბამება, არ გამოხატავს, არ ასახავს მათ ნებას, სურვილებსა და მისწრაფებებს.

ალბათ, ბევრი კითხვა გექნებათ და შევეცდები, ნაწილობრივ გიპასუხოთ. ერთი კითხვაა, რატომ ვარ მე დღეს აქ? – ერთადერთი, რის გამოც დღეს მე აქ ვარ ჩემს მეგობრებთან ერთად, ამ ყველაფერს აქვს მკაფიო და კონკრეტული ამოცანა, რომ მალე დავტოვო ეს დარბაზი და ამ დარბაზში, რაც შეიძლება მცირე დოზით, ნაკლებად დაგაფრთხოთ.

ამ დარბაზის დატოვებას ვაპირებ მე თქვენთან ერთად. მე შემოვედი აქ იმისთვის, რომ თითოეული თქვენგანი, ვინც დღეს აქ ხართ, სათითაოდ გაგიყვანოთ ამ დარბაზიდან და ამის შემდეგ საზოგადოებას მიეცეს შესაძლებლობა, აირჩიოს ნამდვილი პარლამენტი და აირჩიოს ლეგიტიმური ხელისუფლება ზუსტად იმ პროპორციით, რომელსაც საზოგადოება გაიმეტებს თქვენთვის და არა ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც საკანონმდებლო ორგანო ნოტარიალურ კანტორად აქცია, – აღნიშნა მელიამ.

მელიამ უმრავლესობის წევრებს უთხრა, რომ ისინი ბიძინა ივანიშვილის ტყვეობაში არიან.

– ბევრი თქვენგანიც კი გულის სიღრმეში მეთანხმებით, რასაც ხშირად ვსაუბრობთ ოპოზიციონერები, მაგრამ თუკი საჯაროდ, ხელოვნური, ცინიკური პასუხებით გადიხართ ფონს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ როცა გულახდილად ესაუბრებით თქვენ მეგობრებს, არ აცნობიერებთ, რომ სახელმწიფო არის მიტაცებული, რაც მთელმა მსოფლიომ გაიგო და მიტაცებულია ერთი ადამიანის მიერ.

მე არ ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ის ადამიანი, რომელზეც ხშირად უნდა ვისაუბრო, მაგრამ ეს არის მოცემულობა, რომელიც დღეს გვაქვს. ეს არის ადამიანი, რომელმაც პროკურატურაც, პოლიციაც, მთავრობაც და თითოეული თქვენგანიც აქცია მიტაცების ინსტრუმენტად. თქვენ ხომ ჩემზე კარგად იცით, რომ არ ეკუთვნით საკუთარ თავს, თქვენ ხომ ჩემზე კარგად იცით, რომ პოლიტიკურად არანაირი კაპიტალი არ გაქვთ.

მე არ ვამბობ, რომ თქვენ ასე გინდოდათ, როდესაც 2012 წლის 1 ოქტომბერს მოხვედით, მაგრამ გინდოდათ თუ არა, ეს სხვა საკითხია, თქვენ აღმოჩნდით ტყვეობაში. როდესაც გისმენთ ხოლმე, მეც კი არ მჯერა, რომ ამ ქვეყანაში შეიძლება დაიბადოს და გაიზარდოს ადამიანი და იყოს უსიტყვო მორჩილებაში ოლიგარქი ადამიანის, რომელსაც ბევრი ფული აქვს და მეტი არაფერი. თქვენ ხართ დასახსნელნი ამ ტყვეობიდან.

მე ძალიან კარგად ვიცი, რომ საქართველოს ნამდვილ პატრიოტს, რომელსაც უწევს პოლიტიზებულ უსამართლო პოლიციასთან დაპირისპირება, პროკურორთან და მოსამართლესთან, თქვენც იგივე ფიქრები და შიშები წამოგეშლებათ ხოლმე. თუკი გაბედავთ და ხვალ განსხვავებულ პოზიციას დააფიქსირებთ, ბიძინა ივანიშვილის ეს პოლიტიკური პოლიცია თქვენც დაგიპირისპირდებათ, სასამართლოც და პროკურატურაც, – განაცხადა მელიამ.

კობახიძე: „მელიას კაცობის ნიშანწყალიც კი არ აქვს“

– ეს არის ადამიანი, რომელსაც არ აქვს არავითარი ნიშანწყალი კაცობის.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელისთან დაკავშირებით განაცხადა.

კობახიძის თქმით, ნიკა მელიამ ვერ შეასრულა თავისი სიტყვა.

მან ნიკა მელიას მიერ გაკეთებული განცხადებები შეაფასა და მელიას კრიმინალი უწოდა.

– ძნელი მოსასმენია, როცა ასეთ რამეს ვისმენთ კრიმინალისგან, ადამიანისგან, რომელიც არის კონკრეტულ დანაშაულში მხილებული და ბრალდებული, არც მეტი, არც ნაკლები, პარლამენტში შეღწევის მცდელობისთვის. ეს არის მძიმე, მაგრამ ეს არის პოლიტიკური ცხოვრება. ეს არის ადამიანი, რომელსაც არ აქვს არავითარი ნიშანწყალი კაცობის, ამას უკავშირდება მათ შორის ის დანაშაულებიც, რომლებიც მისი მხრიდანაა ჩადენილი და ის რიტორიკა, რომელსაც დღეს ჩვენ მისგან ვისმენდით. ეს არის ადამიანი, რომელიც ცოტა ხნის წინ იყო ჩასული თავისი პარტიის რეალურ ლიდერთან და დასჯილი სკოლის მოსწავლესავით უსმენდა იმას, თუ რა უნდა გაეკეთებინათ მომავალში.

ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი და ასეთი პოლიტიკოსებისა და პარტიებს მომავალი არ და ვერ ექნება. ყველაფერს საზოგადოება გასცემს პასუხს. „არ გადავიხდი, ვერ დამიჭერთ!“ – ყველას გახსოვთ ნიკა მელიას ეს ცნობილი ფრაზა, ყველას ისიც გვახსოვს, რომ არ გადაიხადა და დაიჭირეს. ვერ უშველა ვერც შინაურმა და ვერც გარეულმა, ვერც გვარამიამ და ვერც გახარიამ. „ვერ გადამიხდით, არ გამოვალ“ – ესეც კარგად გვახსოვს, ბოლოს დათანხმდა, გადაახდევინა და გამოვიდა. ვერც ამ შემთხვევაში შეასრულა თავისი სიტყვა, – განაცხადა კობახიძემ.

კობახიძის თქმით, როგორც სხვა სიტყვების უკან წაღება მოუწია ნაციონალურ მოძრაობას, ზუსტად ასე მოუწევს შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელის მოწერა და ამნისტიის მიღება.

ბათუმში მაგნოლიის კორპუსიდან ქალი გადავარდა

გუშინ, 9 ივნისს, ბათუმში, ე.წ. მაგნოლიის საცხოვრებელი კორპუსიდან ახალგაზრდა ქალი გადმოვარდა.

არსებული ინფორმაციით, ის ბათუმში დასასვენებლად 2 დღის წინ ჩავიდა.

ამ დროისთვის უცნობია, როგორ გადმოვარდა ქალი შენობიდან.

პირველების ინფორმაციით, ქალი სასწრაფო დახმარების მანქანით ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ადგილზე პოლიცია იყო მობილიზებული.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ყვირი, ვინც შევა, მოღალატეაო და მერე შენ შედიხარ?!“

თორნიკე შარაშენიძე: „ოპოზიციამ საკუთარ ამომრჩევლებსაც გაუცრუა იმედები და დასავლეთსაც“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, რომ იტყვიან, მართონი გაიხსნა. ვისმენთ ბრალდებებს როგორც „ოცნების“ ამჟამინდელი ხელისუფლების, ისე ყოფილი პრემიერის მხრიდან. როგორ აფასებთ გიორგი გახარიას სატელევიზიო ინტერვიუს ბიძინა ივანიშვილის წერილის შემდეგ? იძულებით დააწერინეს ბიძინას ის წერილიო.

– ვინ დააწერინა? კობახიძემ? მე არ მჯერა ამის! გახარიაში მე რაც მომწონს, არის ის, რომ პრინციპულად ამბობს, 20 ივნისს მე ვიღებ ჩემს თავზეო. ძალიან კარგია, ამას სხვებს რომ არ აბრალებს.

– არადა, ეხვეწებიან, ნუ აიღებ შენს თავზე, თქვი, ვინ გასცა ბრძანება, ვისი ბრალი იყოო, თუმცა ჯიუტად აცხადებს, რომ ეს მისი პასუხისმგებლობაა.

– არც არავის ბრალი არ იყო, მგონი. იქ პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა ძალის გადამეტებას, მაგრამ ეს, ვფიქრობ, ბრძანების კი არა, ქაოსის შედეგი იყო. ერთმა გაისროლა და აჰყვა ყველა. მერე ვეღარ გააკონტროლა ვერავინ, ვერც გახარიამ და ვერც მამაზეციერმა. მე მგონი, ეს მოხდა საბოლოო ჯამში და, შესაბამისად, ვერავისაც ვერ დააბრალებს.

– მოგეწონათ მისი ეს პოზიცია, სხვაზე გადაბრალება რომ არ დაიწყო?

– კი, ეს ღირსეული საქციელია, რომ არ გამოვიდა და არ დაიწყო ტირილი, მაიძულეს და სინამდვილეში ჩემი ბრალი არ იყოო. მართლა მომწონს მისი პოზიცია. თანმიმდევრული და ვაჟკაცური პოზიცია აქვს, ჩემი აზრით.

– გუნდთან მიმართებით რამდენად მართალია?

– გუნდი კბენს და ესეც კბენს პასუხად. არ დააბრალა არავის არაფერი, ფრთხილი და დაბალანსებული გამოსვლა ჰქონდა, არავის წინააღმდეგ არ უსაუბრია. ახლა, როდესაც დაუწყეს ლანძღვა და მოღალატის ძახილი, უპასუხა, გასაგებია. თუმცა ისევ და ისევ მისი წასვლა აშკარად იყო მოულოდნელობა. ამან გუნდი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო და, როგორც ჩანს, ამას არ პატიობენ. მე არც ის მგონია, თავადაც სჯეროდეთ, რომ გახარია სააკაშვილთან არის შეკრული და მოღალატეა. ეს თავიდან ბოლომდე სისულელეა და თავადაც კარგად იციან, მაგრამ გახარია რომ წავიდა კრიტიკულ მომენტში, ეს არ აპატიეს, ამის გამო აბრალებენ და რაღაც სისულელეებს უგონებენ, რისიც თავადაც არ სჯერათ.

– გახარიას პოზიცია რამდენად სწორად მიგაჩნიათ, როდესაც ის აცხადებს, რომ იმ მომენტში გაცილებით სახიფათო იქნებოდა მელიას დაპატიმრება?

– არ ვიცი დეტალები, ნაციონალების ოფისში რა ხდებოდა. თუ მართალია ის, რასაც გახარია ამბობს, რომ მაშინ 500 კაცი იყო, მერე მოიკლო ამ 500-მა კაცმა და დარჩა 50 კაცი, მაშინ მართალია გახარია და, შესაძლოა, იყოს ამაში რაიმე ლოგიკა. თუ მართლა დაიწია ტემპერატურამ და ამას უშველა დრომ, შესაძლოა, გახარია მართალია. მე არ ვიცი, ნაციონალების ოფისში რა ხდებოდა და ამიტომაც ვამბობ, რომ შეიძლება.

– მართალია გახარია ყოფილი გუნდის წინაშე?

– ფაქტია, გუნდი თვლის, რომ არ არის მართალი. რაც შეეხება ჩემს შეფასებებს, ცოტა მეტი რამ უნდა გავიგოთ და ამაზე მერე ვიმსჯელოთ.

– ბევრი ისაუბრა, მაგრამ ყველა კითხვას არ გასცა პასუხი.

– მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ გახარიამ კითხვებს გასცა პასუხი. უბრალოდ, ეს არ მოეწონა წამყვანს. წამყვანი სხვას ელოდა და მან სულ სხვა რაღაცა უთხრა. წამყვანი დარწმუნებულია, რომ ივანიშვილმა გასცა დარბევის ბრძანება 20 ივნისს. მე არ ვიტყოდი, რომ პასუხი არ გასცა. გასცა, მაგრამ – სხვანაირად.

– ივანიშვილს არ შეაწმინდა ხელი, თქვა, რომ ყველა გადაწყვეტილებაში თავისუფალი იყო, რომ ბიძინას არაფერს უთანხმებდა.

– როგორც მე ვიცი, ჰქონდა მას დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი. ამას მართლა არ იტყუება, ნამდვილად, ხოლო იმას, რომ პრემიერებს ივანიშვილი ნიშნავს, არც გახარია უარყოფს.

– ივანიშვილი ახსენეთ და მისმა ბოლო წერილმა კიდევ უფრო მეტად დაარწმუნა საზოგადოება, რომ ის არსადაც არ წასულა. ამაზე რას იტყვით?

– სანამ ივანიშვილი საქართველოში იცხოვრებს, ის ყველა ვარიანტში ჩაერევა პროცესებში. მხოლოდ ერთი ვარიანტი, რომ საქართველოში იცხოვროს და არ ჩაერიოს, არის ის, რომ მისთვის არანაირი საფრთხე არ არსებობდეს. საფრთხე ჯერჯერობით კვლავაც არსებობს. საფრთხეა თუნდაც იგივე სააკაშვილი. ამიტომ რაღაც დონეზე ჩარეული ყველა ვარიანტში დარჩება.

– გახარიაშიც დაინახა საფრთხე ივანიშვილმა?

– გახარიაში – არა, გახარიას წასვლამ აშკარად შეარყია მისი ძალაუფლება მაშინ. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ამიტომაც მიაჩნია, რომ ისე კომფორტულად არ არის, როგორც იმედი ჰქონდა, რომ იქნებოდა. ივანიშვილი ფიქრობს, რომ მისი კომფორტის დარღვევაში გახარიას წვლილიც ურევია.

– გახარია როგორც ამბობს, ის საკმაოდ შევიწროებული ყოფილა, არც მინისტრები ემორჩილებოდნენ და პოლიტსაბჭოს სხდომაც არ მოაწვევინეს.

– არ მოაწვევინებდნენ იმიტომ, რომ პარტია მას არ ემორჩილებოდა, რა თქმა უნდა. არც იყო თვითონ არასოდეს მოაზრებული პარტიულ ლიდერად. პარტია ცალკე ფუნქციონირებდა და გახარია იყო მენეჯერი, რომელიც პარტიისგან უნდა გამდგარიყო გვერდზე.

– არის გახარია ივანიშვილის პროექტი?

– ამას საქმე გამოაჩენს. მე მარჩიელობას ვერ დავიწყებ.

– რა შანსები აქვს გახარიას ამ არჩევნებზე?

– ამ მოცემულობიდან აქვს შანსი, რომ მესამე ძალა თუ არა, მეოთხე მაინც იყოს, მინიმუმ, თუმცა, როგორ მიაღწევს არჩევნებამდე, რამდენად შეინარჩუნებს რეიტინგს, ეგ არ ვიცით.

– ეშინია „ოცნებას“ გახარიასი? წაართმევს ხმებს თუნდაც იმ დათქმული 43%-დან?

– ვამბობთ „ოცნებას“, ვგულისხმობთ ბიძინას, როგორც ადრე იყო, ვამბობთ პარტიას, ვგულისხმობთ ლენინსო. მე მგონი, ამ ეტაპზე ბიძინას საქართველოში არავისი ეშინია. სხვა საქმეა, რომ ბოლომდე კომფორტულად ვერ გრძნობს თავს, მაგრამ არც ერთი პოლიტიკური პარტიისა და პოლიტიკური ლიდერის არ ეშინია.

– რომ იტყვიან, სიმაღლის მიხედვით დაეწყო დარჩენილი ოპოზიცია და შელაგდნენ პარლამენტში. როგორ გამოიყურება ეს ნაწილი, რომელიც ამხელა ლანძღვა-გინების შემდეგ პარლამენტში შევიდა?

– რბილად რომ ვთქვათ, არცთუ ისე ლამაზად. დალანძღეს ყველა და თავიანთ ჭკუაში დააბღინგეს. ახლა გამოვიდნენ და გამოაცხადეს, რომ თურმე კარგი ყოფილა პარლამენტში შესვლა. პირველ რიგში, ასეთი არათანმიმდევრულობა თავიანთი ამომრჩევლის მიმართ უპატივცემულობაა.

– კიდევ უფრო ხომ არ გაუმყარეს „ოცნებას“ საარჩევნოდ პოზიციები?

– რა თქმა უნდა. ყველა ვარიანტში დაკარგეს ამომრჩეველი თავიანთი არათანმიმდევრულობის გამო. თავიდანვე რომ შესულიყვნენ, არ დაკარგავდნენ. ყვირი, ვინც შევა, მოღალატეაო და მერე შენ შედიხარ. არ ვიცი, ეს საერთოდ რაში წერია. საკუთარ ამომრჩევლებსაც გაუცრუეს იმედები და დასავლეთსაც. ამ მოცემულობით „ოცნების“ შანსები ამ არჩევნებზეც მაღალია. გახარიას რეიტინგიც მაღალია. ვნახოთ, როგორ წარმართავს საარჩევნო კამპანიას და რა ფულს დახარჯავს. არჩევნებში ფულს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ვიტყვი იმასაც, რომ გახარიას ნაკლები თვალთმაქცობა ახასიათებს, ვიდრე დანარჩენ პოლიტიკოსებს. ეს ფაქტია. მე მისი ინტერვიუ საკმაოდ გულწრფელი მეჩვენა.

ირაკლი ქადაგიშვილი ბიუჯეტის ფულს სასტუმროებში ხარჯავს

ათასობით ლარი სასტუმროს ხარჯებისთვის – თელავის, ახმეტის, ყვარლისა და ლაგოდეხის მაჟორიტარი ირაკლი ქადაგიშვილი კახეთის ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმრო ვილა „ზუზუმბოში“ ისვენებს და ხალხის ფულს საკუთარი კომფორტისთვის ხარჯავს. მაჟორიტარმა პირველი კონტრაქტი გამარტივებული ფორმით – ერთ პირთან მოლაპარაკების გზით უკვე გააფორმა. ხელშეკრულების თანახმად, შპს „ბუნებრივ აირს“ ირაკლი ქადაგიშვილი სასტუმროსა და სარესტორნო ხარჯებისთვის ამჯერად 2.500 ლარს გადაუხდის.

ირაკლი ქადაგიშვილმა სასტუმროს მომსახურებით უკვე რამდენიმეჯერ ისარგებლა. მაჟორიტარი ახლა ამტკიცებს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა მინიმალურია და ხალხის ფულს მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში ხარჯავს.

ოპოზიციაში არამიზნობრივ ხარჯებზე საუბრობენ. ხელისუფლების ოპონენტები ქვეყანაში არსებულ უმძიმეს გაჭირვებაზე მიუთითებენ და ამბობენ, რომ მაშინ, როცა მაჟორიტარს მანქანა ემსახურება და მის სახელზე გამოყოფილია დიდი ოდენობით საწვავი, დეპუტატი პირად კომფორტზე არ უნდა ზრუნავდეს.

არასამთავრობო ორგანიზაციები კი სავარაუდო კორუფციულ სქემაზე საუბრობენ. სასტუმრო, სადაც ირაკლი ქადაგიშვილი ხალხის ფულს ხარჯავს, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ გავლენიან ბიზნესმენ შოთა დემინაშვილს, მეტსახელად ლეკს ეკუთვნის. მის კომპანია შპს „ბუნებრივ აირსა“ და ვილა „ზუზუმბოს“ „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში თითქმის 600.000 ათასი ლარი აქვს მიღებული.

ეს ჯერ მხოლოდ ერთი კონტრაქტია. 2.500 ლარის დახარჯვის შემდეგ, სავარაუდოდ, მაჟორიტარი ირაკლი ქადაგიშვილი კიდევ ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს და საკუთარი კომფორტისთვის კიდევ ათასობით ლარს დახარჯავს.

პარლამენტმა „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტი მეორე მოსმენით მიიღო

77 მომხრე, 23 წინააღმდეგი – პარლამენტმა „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებულ „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტს მხარი მეორე მოსმენით დაუჭირა.

„ქართული ოცნების“ მიერ მომზადებულ კანონპროექტზე პარლამენტში მსჯელობა დაახლოებით 7 საათის განმავლობაში ცხარე კამათისა და დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა. მმართველი გუნდის თქმით, მათ მიერ მომზადებული ცვლილებები პასუხობს შარლ მიშელის დოკუმენტის სულისკვეთებას.

„ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ 20-21 ივნისის მოვლენებისას ბრალდებული და მსჯავრდებული ყველა პირი გათავისუფლდეს. ამასთან, არის დათქმა, რომლის თანახმადაც, ამ ადამიანებს არ უნდა ჰქონდეთ ჩადენილი ისეთი კონვენციური დანაშაულები, როგორიცაა წამება და არაადამიანური მოპყრობა.

„გახარიამ ივანიშვილს უთხრა, მე ვარ სანდო პარტნიორი და არა კობახიძეო“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

თველოში. მელიაა პარტიის ლიდერი და მისი რეიტინგი ამაღლდა მას შემდეგ, რაც ციხეში მოხვდა და არ გატყდა.

– თუმცა მიშას რეიტინგი ალბათ მაინც უფრო მაღალია და ამ პარტიის მხარდამჭერები მთავარ ლიდერად მაინც მიშას მიიჩნევენ.

– კი, რა თქმა უნდა, მაგრამ ფაქტია, რომ მას შეტევა მიაქვს როგორც „ოცნების“, ისე ნაცმოძრაობის ლიდერებზე და სურს, რომ მოიგოს იმ ადამიანების გული, რომლებისთვისაც ორივე ეს პარტია მიუღებელია.

– ნაცმოძრაობას რაც შეეხება, ამომრჩევლის თვალით რომ შევხედოთ, რამდენად სწორი იყო ბოლო გადაწყვეტილება პარლამენტში შესვლასთან დაკავშირებით და რას მოუტანს ელექტორატის თვალსაზრისით?

– ნაციონალურ მოძრაობას ჰყავს სტაბილური ამომრჩეველი და, შეცდომების მიუხედავად, მას მისცემს ხმას, თუმცა მისი ვალდებულება იყო, რომ საკუთარი ამომრჩევლისთვის აეხსნა, რატომ მიიღეს პარლამენტში შესვლის გადაწყვეტილება. ეს სწორი გადაწყვეტილებაა, მაგრამ ამომრჩეველს უნდა აუხსნან.

– ვერ იყო ახსნილი?

– ვერ იყო. არ აუხსნეს კონკრეტულად, რომ ექნებოდა შესაძლებლობა, გამოეყენებინა საპარლამენტო ტრიბუნა, ემუშავა ხალხისთვის მისაღებ კანონპროექტებზე. პარლამენტი არ არის ორგანო, სადაც მხოლოდ კანონებზე მუშაობა მიმდინარეობს.

– ნაცმოძრაობის ქმედებაში გარკვეული ხელოვნურობის შთაბეჭდილებაც ხომ არ შეიქმნა, როდესაც ჯერ ჩადიან კიევში, მერე თითქოს ხვდებიან ამომრჩეველს და იღებენ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც, მგონი, ყველასთვის ნათელი იყო?

– კიევში იმიტომ ჩავიდნენ, რომ რაც შეიძლება ნაკლები კრიტიკა დაემსახურებინათ ამომრჩევლისგან, რადგან ამომრჩევლის დიდი ნაწილი მხარს უჭერს ნაცმოძრაობას სააკაშვილის ფაქტორის გამო. ამიტომ ეს ყველამ სწორად აღიქვა, როდესაც ჯერ კიევში იყვნენ, ჩამოვიდნენ და მერე გააკეთეს განცხადება პარლამენტში შესვლასთან დაკავშირებით.

– მაშინვე არ გაკეთებულა განცხადება და ზუსტად ეს აჩენს ხელოვნურობის განცდას, რომ რეგიონებში მართავდნენ შეხვედრებს და არ ჩაატარეს ელექტრონული გამოკითხვა, რომელსაც, მაგალითად, ბარამიძე ითხოვდა.

– კი ბატონო, უნდა ყოფილიყო. თუ შიდაარჩევნებს არ ატარებ, ყოველ შემთხვევაში, ახსნა-განმარტებები მაინც უნდა ყოფილიყო, უნდა ეთქვათ, რომ ეს არ ნიშნავს არჩევნების ლეგიტიმურად ცნობას და იმის აღიარებას, რომ არჩევნები არ გაყალბებულა. უნდა ეთქვათ, რომ იმ პირობებში, როდესაც „ოცნებას“ სხვადასხვა დეპუტატი ტოვებს, ასევე – აღმასრულებელ ხელისუფლებასა თუ თვითმმართველობებში, ეს სხვა შესაძლებლობებს იძლევა.

– ხიდმა, რომელზეც იდგნენ ოპოზიციის ლიდერები, ბოლო თვეებში რყევა დაიწყო. გაამაგრებენ? გვულისხმობ იმას, თუ მოახერხებენ კოორდინაციას და, თუ ამას ვერ შეძლებენ, რა შანსი აქვს ოპოზიციას?

– ცალკეულ პარტიებს შორის იქნება თანამშრომლობა, იმიტომ, რომ მათ ერთმანეთი სჭირდებათ. ვგულისხმობ, მაგალითად, თანამშრომლობას ნაციონალურ მოძრაობას, „ევროპულ საქართველოს“, „ლელოს“, „სტრატეგია აღმაშენებელსა“ და სხვებს შორის. რა თქმა უნდა, ელისაშვილთან თანამშრომლობა გამოირიცხება.

– „სტრატეგია აღმაშენებლისა“ და ნაცმოძრაობის თანამშრომლობა ჯერ კიდევ შესაძლებელია?

– მე მგონია, რომ გარკვეული უთანხმოებისა და ურთიერთკრიტიკის მიუხედავად, შესაძლებელია. ფაქტია, რომ თანამშრომლობდნენ და დღესაც ითანამშრომლებენ. პარტიები უნდა შეთანხმდნენ თბილისის მერობის ერთიან კანდიდატზე და არა მხოლოდ თბილისის, არამედ ყველა თვითმმართველი ქალაქის. თანამშრომლობის მაგალითი უნდა აჩვენონ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაქსაქსულ ოპოზიციას „ოცნების“ დამარცხება გაუჭირდება, ვინაიდან ის ფლობს ადმინისტრაციულ რესურსს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ პოსტკოვიდურ ვითარებაში დაფიქსირდეს გარკვეული ეკონომიკური ზრდა, მყარდება ლარიც და ამან შესაძლოა „ოცნების“ რეიტინგი ოდნავ გაზარდოს. ამიტომაც ოპოზიციურმა პარტიებმა ამბიციები და ვიწროპარტიული ინტერესები გვერდზე უნდა გადადონ.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„ივანიშვილის მიზანი კოლექტიური ნაცების დაბრუნებაა“

ლევან ჩაჩუა: „გახარიამ „ქართულ ოცნებას“ ელექტორატის ნაწილი უნდა წაართვას“

მარიამ მჭედლიშვილი

რატომ ვერ დარჩება ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“? ვისთვის იეგეგმება ძალაუფლების გადაცემა? რა როლი აქვს გახარიას? არის თუ არა დასაჯერებელი ბიძინა ივანიშვილის განცხადებები? ვინ ამზადებს ცისფერ დიქტატურას? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას.

„საქართველოში ცისფერ დიქტატურას გვიმზადებენ“

– თქვენი პროგნოზი გამართლდა და ბოიკოტში მყოფი თითქმის მთელი ბარიერგადალახული ოპოზიცია პარლამენტში შევიდა. ოპოზიციონერები თავად აღიარებენ, რომ დასუსტდნენ. ამ სიტუაციაში ველარ გამოვა ძალაუფლების გადაბარება სხვადასხვა პარტიაში გადანაწილებული ნაციონალებისთვის, რასაც ასევე ვარაუდობდით?

– გადაბარება, სამწუხაროდ, მაინც გამოვა, თუ არაფერი შეიცვალა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს უპრინციპო და საკუთარ კეთილდღეობას დახარბებული ოპოზიცია პარლამენტში შეიპარებოდა. არადა, ხალხს გმირებად აჩვენებდნენ თავს და არწმუნებდნენ, რომ თავგანწირვამდე იბრძოლებდნენ. პარლამენტში ფეხს არ შევდგამთო, გაიძახოდნენ. ხელისუფლებასთან ივაჭრეს, მიშელის დოკუმენტი თავიანთთვის გამოიყენეს. იმისიც შეეშინდათ, რომ ბოიკოტში მყოფ პარტიებს შეუწყვეტდნენ საბიუჯეტო დაფინანსებას. ბიუჯეტის თაგვებივით დაივიწყეს დიდგულობა და შეძვრნენ პარლამენტში. ნიკა მელია იძახდა, ვინც პარლამენტში შევა, კაცი კი არა, პუფი იქნებაო. მივიღეთ ასეთი სურათი – ერთ მხარეს არიან კობახიძე-თალაკვაძე-მდინარაძის ჯგუფი, მეორე მხარეს – ის ოპოზიცია, რომელმაც, უკაცრავად და, საკუთარი ფურთხი ალოკა.

– გადაბარება რანაირად გამოვა ამ სიტუაციაში?

– დემოკრატიის ისტორიაში არ მომხდარა, რომ ერთი და იგივე ძალა ოთხი ვადით ყოფილიყოს ხელისუფლებაში. „ქართული ოცნება“ 2020 წლის ოქტომბრის არჩევნების შედეგების დამტკიცების შემდეგ მეოთხე ვადით იმყოფება სათავეში. მიშელის დოკუმენტში ჩადებულ ზღვარს ანუ 43%-იან მექანიზმს „ოცნება“ ვერ გადალახავს. ვინ რჩება? რჩება ის დასუსტებული და შერცხვენილი ოპოზიცია. მართალია, ეს ოპოზიცია და სააკაშვილის ყოფილი რეჟიმი ხალხს სძულს, მაგრამ ქვეყანაში არ არსებობს ალტერნატივა. ალტერნატიული ძალა არ გამოკვეთილა. ამის გამო კოლექტიური ნაციონალებისთვის ძალაუფლების გადაბარების გეგმა ისევ მოქმედებს.

– ეს ოპოზიცია რომ დაშლილია?

– ოპოზიციური ერთობა აღარ არსებობს, მაგრამ ისინი შემდეგ შეკრებენ კოალიციას და ჯამში ერთად იქნებიან, გადაინაწილებენ თანამდებობებს.

– ბოლო ხანს მთელი ყურადღება გახარიაზეა გადატანილი. თქვენი აზრით, მას რა როლი ეძლევა?

– გახარია არ არის ძლიერი და რეიტინგული ფიგურა. ის თავისი ახალი პარტიით შემოყვანილია იმისთვის, რომ ელექტორატის ნაწილი წაართვას ისედაც დასუსტებულ „ქართულ ოცნებას“.

– ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ გახარია მისი პროექტი არ არის.

– ბიძინა ივანიშვილი რასაც ამბობს, ის დასაჯერებელი არ არის. ხშირად მისი გამონათქვამი უკუღმა უნდა გავიგოთ. ივანიშვილის მიზანი ისევ არის კოლექტიური ნაცების დაბრუნება. გახარია შემოჰყავთ იმიტომ, რომ მან ხმები წაართვას „ქართულ ოცნებას“ და ხელი შეუწყოს კოლექტიური ნაცების მობრუნებას. ივანიშვილს ტყუილად კი არ მისცეს მალტის ორდენი საფრანგეთში! ეს მასონური ჯილდო მიეცა იმისათვის, რომ ხელისუფლებაში ისევ მოიყვანოს ნაცები.

– იმაზე მიანიშნებთ, რომ ნაციონალებს დასავლეთი უჭერს მხარს? სინამდვილეში ასე არ არის.

– როგორ არ არის! მელიას გათავისუფლებისთვის ევროკავშირმა ტყუილად გადაიხადა გირაო?!

– ეს გაკეთდა სტაბილურობისთვის.

– სტაბილურობა ისედაც იყო. ნაცებს გადატრიალების შნო სად აქვთ! ძალიანაც რომ უნდოდეთ, რევოლუციას ვერ აწყობენ. ოპოზიციურ ერთობაში 30-მდე პარტია იყო და მაშინ ვერ აგროვებდნენ ხალხს. 5000 კაცის მობილიზებით რევოლუციები არ ხდება. ნაციონალები და მათი განშტოებები დასუსტებული და დეგრადირებული არიან, თუმცა მაინც ამათი მოყვანა უნდათ ხელისუფლებაში. კობახიძემ იცის, რომ გახარია „ოცნების“ წინააღმდეგ შემოიყვანეს პოლიტიკურ ველზე. ნაციონალებს ამზადებენ. გრძნობს, რომ „ოცნება“ მთავრდება. ამიტომაც არის აფორიაქებული. გაშლილი ნაცების ხელისუფლებაში მოყვანა ნიშნავს ლიბერალური რადიკალიზმის გაფართოებას. საქართველოში ცისფერ დიქტატურას გვიმზადებენ. აქტივობა დაწყებულია.

– რას გულისხმობთ, „თბილისი პრაიდის“ მიერ დაანონსებულ ღონისძიებებს?

– ეს მხოლოდ ერთი ნაწილია. დიახ, 1-დან 5 ივლისის ჩათვლით საქართველოში ლგბტ-ორგანიზაციები ზოგიერთი პარტიის მხარდაჭერით აწყობენ სხვადასხვა აქტივობას. რაც მთავარია, უნდათ დედაქალაქის მთავარ მოედანზე გეიაღლუმის გამართვა. გესმით, რას ნიშნავს აღლუმი? ეს არის გამარჯვებულის მხრიდან ძალის დემონსტრირება დამარცხებულის მოედანზე. ამით უნდათ ჩვენი სულიერად გატეხა, ჩვენს სულებში ჩაფურთხება, უნდათ, ქართველები და და ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები სხვა ერები ხელებაწეული დავნებდეთ ცისფერ დიქტატურას. ჩემი აზრი ასეთია – თუ ღმერთის მხარეს დავდგებით, ვაუკაცურად ვიბრძოლებთ, მაშინ სულებსაც გადავირჩენთ, ოჯახების ღირსებასაც დავიცავთ და ქვეყანასაც ავარიდებთ უდიდეს განსაცდელს. ჩვენ ცისფერ დიქტატურას არ უნდა დავემორჩილოთ.

„ვადამდელ არჩევნებზე „ოცნება“ კოალიციას გახარიასთან შეკრავს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ბრძოლა უნდა იყოს ერთადერთი მიზნით, რომ ამ ქვეყანაში ივანიშვილის ერთპიროვნული მმართველობა დასრულდეს“

„ლიბერალისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პროცესებზე საუბრობს.

ნათია ხურცილავა

– ლაშა, ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ არჩევნებზე „ქართული ოცნება“ არათუ 43%-ს, 53%-ს აიღებს, რაც იცის აბსოლუტურად ყველა ოპოზიციამ. გამარჯვებისთვის ემზადებიან?

– ღარიბაშვილისა და კობახიძის ძლიერი მხარე არჩევნების შედეგების წინასწარმეტყველება არასდროს ყოფილა. როგორც იტყვიან, ოცნებას კაცი არ მოუკლავს, თუმცა მათ შემთხვევაში ასე არ არის.

ღარიბაშვილის ეს გზავნილი, ბუნებრივია, ნიშნავს იმას, რომ ისინი ეცდებიან, 53% თუ არა, 48% მაინც დაიწერონ. ეს მცდელობა მათ ექნებათ, მაგრამ ბევრი რამ საზოგადოებასა და პოლიტიკურ სპექტრზეა დამოკიდებული, ვინ, როგორ და რა ძალით, რა შემართებით ვიბრძოლებთ. ბრძოლა უნდა იყოს ერთადერთი მიზნით, რომ ამ ქვეყანაში ივანიშვილის ერთპიროვნული მმართველობა დასრულდეს.

– გამორიცხავთ, რომ ვადამდელი არჩევნები მათ ინტერესში შედიოდეს?

– არა, არა, პირიქით. ისინი ეცდებიან, თავი აარიდონ ვადამდელ არჩევნებს, თუმცა, არ არის გამორიცხული, ივანიშვილს რეზერვში ჰქონდეს მეორე სვლა – გიორგი გახარია, თუმცა, ეს იმ შემთხვევაში, თუ არ გაუვათ ის, არც აქვთ ჩაფიქრებული. ამ შემთხვევაში დაინიშნება სწორედ ვადამდელი არჩევნები.

– გახარიასგან მოისმინეთ რამე სიახლე, რომელსაც გამოყოფდით?

– სრულიად აშკარაა, რომ გახარია ივანიშვილის ორსვლიანი კომბინაციის ნაწილია, რომელიც გათვლილია ჯერ თვითმმართველობისა და შემდეგ საპარლამენტო არჩევნებისთვის. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ის რჩება ივანიშვილის სურვილების შემსრულებლად. საცოდავი სანახავია ადამიანი, რომელიც თითქოს ოპოზიციაშია და, ამავე დროს, ერთ გადაბრუნებულ სიტყვას ვერ ამბობს ხელისუფლებაზე. ასეთი ფსევდო და სატელიტი ოპოზიცია არც ერთი ხელისუფლების დროს არ ყოფილა.

– სატელიტია გახარია?

– აბა რა არის! საქართველოს დამოუკიდებელი პოლიტიკის 30–წლიანი ისტორიის ფარგლებში ასეთი რამ არავის ახსოვს. მეტ-ნაკლებად საღად მოაზროვნე ადამიანი დარწმუნებულია, რომ გახარია ივანიშვილის პროექტია. ასე შემიძლია ვთქვა – გიორგი გახარია ირმა ინანაშვილია შარვალში. ინანშვილიც ხომ ხან კობახიძის პოლიტიკას ამხობდა და ხან ივანიშვილის მეორე, მესამე-ხარისხოვანი მარიონეტისას. გახარიამ დაადასტურა, რომ კობახიძის ოპოზიციაა და არა ივანიშვილის.

– ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში „ოცნება“ კოალიციას გახარიასთან შეკრავს და ამ მიზნით არის შემოსული?

– რასაკვირველია! გახარია ივანიშვილის რამდენიმე კომბინაციის ნაწილია. გაჭირვების შემთხვევაში კოალიციას შეკრავს მასთან. ამიტომ ასაღებენ ოპოზიციად, რომ მერე თქვან, როგორი დემოკრატი მმართველები არიან, რომ ოპოზიციასთან შეკრეს კოალიცია.

– და თამაშგარე მდგომარეობაში დატოვონ ოპოზიცია?

– დიახ, რა თქმა უნდა, ეს არის მიზანი. მე ყველა პარტიის ნაცვლად ვერ ვისაუბრებ, მაგრამ აშკარაა, რომ სერიოზული გამოწვევის წინაშე ვიქნებით და აქ ძალიან მნიშვნელოვანი, მეტიც, გადამწყვეტი იქნება ხალხის გონიერება, ხალხის აქტივობა. ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, რას იზამს ამომრჩეველი, უნდა მას გააგრძელოს ასე ცხოვრება თუ უნდა შეცვალოს თავისი და ამ ქვეყნის მომავალი.

ჩვენ ჩვენი დაპირებების ერთგული დავრჩით. ჩვენ უარი ვთქვით პარლამენტში შესვლაზე და მზად ვართ, ეს ბრძოლა ბოლომდე მივიყვანოთ, განსხვავებით იმ პარტიებისგან, რომლებსაც აშკარად აღარ უნდათ ვადამდელი თუ ახალი საპარლამენტო არჩევნები, რადგან უკვე „თბილად“ გრძნობენ თავს პარლამენტში. სამწუხაროდ, ოპოზიციის დიდი ნაწილი ვერ გამოირჩევა პრინციპულობით, თუმცა, გახარიასთან შედარებით, ოპოზიციას უფრო ჰგვანან. ერთი რამ აშკარაა – ოპოზიციას ძალიან ინტენსიური და დაუღალავი ბრძოლა მოგვიწევს, რათა ხალხს დავანახოთ, რომ ჩვენ შეგვიძლია რეალური კოალიციური მმართველობით ამ ქვეყნისთვის უკეთესი მომავლის შექმნა.

ახლა გადამწყვეტი საკითხია, ოპოზიციამ ხალხს დაანახოს, რომ მას შეუძლია, არ დაუტოვოს ძალაუფლება ამ რეჟიმს და მეორე, ერთხელ და სამუდამოდ წერტილი უნდა დავუსვათ ამ ქვეყანაში ერთპარტიულ მმართველობას. ამ ყველაფრის რეალობად ქცევა კი დამოკიდებული იქნება იმაზე, ვინ როგორ იბრძოლებს და რა პოზიცია ექნებათ ამ ქვეყნის მოქალაქეებს.

„ჰესის მშენებლობით ხალხი უნდა სარგებლობდეს და არა ერთი პირი“

ჯონდი ბაღათურია: „ჩვენ არ ვამბობთ, რომ რომელიმე თურქულმა, ფრანგულმა, გერმანულმა თუ ამერიკულმა კომპანიამ არ უნდა ისარგებლოს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი ჯონდი ბაღათურია პასუხობს.

– ბატონო ჯონდი, ახლახან ნამახვანჰესის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით პრემიერმა განაცხადა, 100 წლით გადაცემა და მსგავსი პირობები არ იქნება და შევეცდებით, ხელშეკრულებაზე ხელმომწერ კომპანიასთან შევთანხმდეთ გარკვეული პირობების ცვლილებაზეო. იძლევა თუ არა ეს განცხადება ნამახვანის პრობლემის მოგვარების იმედს?

– მთავარი პრეტენზია სწორედ ხელშეკრულებასთან გვაქვს. მიგვაჩნია, რომ ჰესი უნდა აშენდეს. საერთოდ, ჰესები გვჭირდება. დღეს არასერიოზულად გამოიყურება ლაპარაკი იმაზე, რომ ჰესები არ უნდა ავაშენოთ, მაგრამ მშენებლობის დროს, ერთი მხრივ, უსაფრთხოების ნორმები უნდა იყოს გარანტირებული, მეორე მხრივ, ეკოლოგიური უსაფრთხოება უნდა იყოს დაცული.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჰესის მშენებლობით ხალხი და სახელმწიფო უნდა სარგებლობდეს და არა მხოლოდ ერთი კერძო კომპანია და პირი. რა თქმა უნდა, არავინ ფულს არ ჩადებს ისე, რომ თვითონ არ ისარგებლოს. ჩვენ არ ვამბობთ, რომ რომელიმე თურქულმა, ფრანგულმა, გერმანულმა თუ ამერიკულმა კომპანიამ არ უნდა ისარგებლოს. რა თქმა უნდა, უნდა ისარგებლოს. ასეთ სისულელეს არც არავინ ამბობს, მაგრამ სარგებელი ორმხრივი უნდა იყოს.

უპირველესი პრიორიტეტი მშენებლობის ლიცენზიაზე ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესია.

– ასეთ შემთხვევაში რა არის ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესი?

– ეს არის: პირველი – ენერგოსტაბილურობა ანუ საკმარისი ელექტროენერგიის არსებობა საქართველოში და მეორე – ასევე მნიშვნელოვანი საკითხია ფასები. აქ ყველაფერი დარღვეულია.

მნიშვნელოვანი და გათვალისწინებულია საქართველოს ენერგოსტაბილურობა, მეორე ასევე მნიშვნელოვანი საკითხია ფასები. ამ ხელშეკრულებაში ყველაფერი დარღვეულია. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ვადა. 100 წლით ჰესის გადაცემა არსად სამართალში არ წერია. მაქსიმუმ 30-35-40 წლის განმავლობაში დახარჯულ 800 მილიონს 800-ჯერ ამოიღებს. ამის შემდეგ ჰესი ხალხსა და სახელმწიფოს უნდა გადმოეცეს.

ასევე ტარიფი 6 თეთრი, როგორც წერია ხელშეკრულებაში, დღეს საქართველოს გენერაციაში მოქმედ ყველა საბაზრო ტარიფს 2,5, 3-ჯერ აჭარბებს. ძალიან ძვირი ტარიფია.

თუკი მთავრობა ამ დეტალებზე დიალოგისთვის მზად არის, ეს ძალიან კარგია, მისასალმებელია. ჩვენ ახლა რაღაც გაბრაზებებში არ უნდა ჩავიკეტოთ და დიალოგზე უნდა წავიდეთ. მთავარი განხილვის თემა უნდა იყოს ვადა, ტარიფი, რამდენად იქნება უზრუნველყოფილი ამით საქართველო.

– კიდევ მიწების საკითხია, რომელიც კომპანია „ენკას“ გადაეცა. იმ ადგილის გარდა, სადაც ჰესი უნდა აშენდეს, დამატებით მიწების გადაცემა რა საჭიროა? თუ იქ რაიმე წიაღისეული აღმოჩნდა, ლიცენზიის გარეშე, კერძო კომპანიამ რატომ უნდა ამოიღოს? ეს საკითხი მნიშვნელოვანი არ არის?

– მიწების საკითხიც მნიშვნელოვანია. მე ჩამოვთვალე უპირველესი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხები. თუ იქ რაიმე წიაღისეული აღმოჩნდა, სამართლიანი და გასაგები იქნება, მისი დამუშავების უფლება მიეცეს იმ კომპანიას, რომელიც ფულს ხარჯავს, მაგრამ ლიცენზიის გარეშე არა, ლიცენზიის პირობებიც უნდა დარეგულირდეს.

– დამატებით მიწების გადაცემა რა საჭიროა?

– დამატებით მიწები შეიძლება ინფრასტრუქტურულად საჭირო იყოს, ოღონდ, ეს უნდა დასაბუთდეს. ხალხს უნდა აუხსნან. ჩვენ ხომ მათ ჯიბრში არ ვუდგებით, ჩვენ ვეუბნებით: ჰესი გვინდა, გვჭირდება. ის, ვინც იტყვის, რომ საქართველოში ჰესები არ გვინდა, ან უტვინოა, ან მოგზავნილი. ჰესები ეკონომიკის მომავალია.

– ღარიბაშვილმა თქვა, პირობებს დავარეგულირებთ და კარგ ჰესსაც ავაშენებთო.

– მივესალმები, თუ ასე იქნება, მაგრამ ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს. ჯერჯერობით მთავრობისა და ხალხის ურთიერთობა მხოლოდ კონფრონტაციულ ხასიათს ატარებს. თუ მთავრობა დიალოგზე წამოვა, ჩვენ მზად ვართ, დიალოგს მხარი დავუჭიროთ, მონაწილეობა მივიღოთ და პროვოკატორებს საშუალება არ მივცეთ, ხალხისთვის სასარგებლო ეკონომიკური პროცესი ჩაშალონ.

– როგორ ფიქრობთ, რიონის ხეობის მცველები ასეთ პირობებს დასთანხმდებიან?

– არ ვიცი. მე რიონის ხეობის მცველებს არ ვიცნობ, არანაირი ურთიერთობა მათთან არ მქონია, მაგრამ, რასაც გარედან ვხედავ, ეტყობა, უმეტესობა ნორმალური ხალხია. მე არ გამიგია, ვინმეს ეთქვას, რომ ჰესები არ უნდა აშენდეს. ისინი აპროტესტებენ უსამართლობას, უკანონობასა და კაბალურ პირობებს, რაშიც სახელმწიფოს ეს ხელშეკრულება აყენებს. თუ ხელშეკრულება გადაიხედება და სამართლიანი გახდება, არა მგონია, ვინმე ამის წინააღმდეგ წავიდეს.

ნაზი ჯანეზაშვილი: „სასამართლოში ერთმანეთის ნათესავებს ასაქმებენ“

– სასამართლოში ძალიან გავრცელებულია ნეპოტიზმი, რომელიც, შეიძლება ითქვას, ახალი პრობლემაა.

ამის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრმა ნაზი ჯანეზაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე განმარტებით, სასამართლო სისტემაში გამოწვევები უფრო მეტია, ვიდრე ეს იყო ოთხი წლის წინ. როგორც ჯანეზაშვილმა აღნიშნა, „კლანი“, რომელიც ძალიან დიდი მხარდაჭერით სარგებლობს ხელისუფლების მხრიდან, არის უფრო ძლიერი.

– გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოში ძალიან გავრცელებულია ნეპოტიზმი, რომელიც ახალი პრობლემაა. ის გავრცელებულია დაწყებული აპარატის დონიდან და გაგრძელებული სასამართლოში მოსამართლეების დონეზეც კი. თუნდაც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ჯერ იყო ერთი ადამიანი, წევრი რევაზ ნადარაია, ახლა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიდის მისი ქვისლი, თემურ გოგოხია. ასევე, ლევან თევზაძე, რომელიც ირაკლი შენგელიას ნათესავია, ცოლისძმაა, ისიც სავარაუდოდ უკვე ალბათ ხდება უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.

სასამართლოში ძალიან ბევრი პრობლემაა. ხელისუფლების მხარდაჭერამ განაპირობა ის, რომ კლანი უფრო ძლიერია და მისი მხარდაჭერა უფრო მასშტაბურია. თუმცა, ვფიქრობ, რომ სამომავლოდ ჩვენ უნდა გვქონდეს მეტი ძალა და ენერგია იმისათვის, რომ ვიბრძოლოთ, რომ სასამართლო მეტად დამოუკიდებელი და ეფექტიანი გახდეს. შეიძლება ითქვას, რომ ამ წლების განმავლობაში სასამართლოს ეფექტიანობისთვის არაფერი გაკეთებულა“, – აცხადებს ჯანეზაშვილი.

ნაზი ჯანეზაშვილის გაცხადებაზე კომენტარი უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ნინო ქადაგიძემ გააკეთა.

– ბუნებრივია, როცა ოჯახის ახლობლებში არიან იურისტები, მათ პროფესიულ განვითარებას ხელს ვერ შევუშლით, – განაცხადა მან.

ნინო ქადაგიძე სასამართლო სისტემაში ნეპოტიზმის არსებობას სრულად გამორიცხავს.

– აქ არის საუბარი იმაზე, როცა ადამიანებმა ერთმანეთი გაიცნეს სისტემაში და ბუნებრივია, შექმნეს ოჯახები და თუ ეს პრობლემაა, ნამდვილად ვერ გეტყვით. ირაკლი შენგელიასთან მიმართებით ვერ დაგეთანხმებით. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, სად მუშაობს მისი მეუღლე. შეიძლება, რიგითი თანამშრომელია და რამე საკვანძო ფუნქცია ეჭიროს, გამოვრიცხავ. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებლად მეცოდინებოდა. რაც შეეხება მის ცოლისძმას, ლევან თევზაძეს, მან სამოსამართლეო მოღვაწეობა, თუ არ ვცდები, ხელვაჩაურის რაიონში დაიწყო. ანუ განვითარების ყველა ეტაპი გაიარა და ბუნებრივია, როცა ოჯახის ახლობლებში არიან იურისტები, მათ პროფესიულ განვითარებას ხელს ვერ შევუშლით, – აღნიშნა ქადაგიძემ.

ლევან ფარტენაძე: „მურმან ჯინჭარაძემ ჩემი დაჭერისთვის ერთ ქალს 50.000 დოლარი გადაუხადა“

ბათუმში სუპერმარკეტ „ფარფურის“ დაწვა ცადეს

ბათუმში დაუდგენელმა პირებმა სუპერმარკეტ „ფარფურის“ დაწვა ცადეს – შემთხვევა 9 ივნისს, დილის 6 საათზე მოხდა.

ადგილზე სამართალდამცველები უკვე იმყოფებოდნენ და სათვალთვალო კამერის ჩანაწერები ამოიღეს. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

„ტვ პირველთან“ მარკეტების ქსელის მფლობელი, მერაბ ფარტენაძე, ალაპარაკდა და თქვა, რომ შემთხვევამდე ცოტა ხნით ადრე მას ემუქრებოდნენ.

მერაბ ფარტენაძე ირწმუნება, რომ ქსელის დაწვის უკან მისი ყოფილი ბიზნესპარტნიორი მურმან ჯინჭარაძე დგას, რომელიც, ფარტენაძეების მტკიცებით, „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული პირია.

მეტიც, ფარტენაძის მეუღლე „ტვ პირველთან“ ამბობს, რომ მათ წინააღმდეგ გამოცხადებულ ომში კრიმინალური ავტორიტეტებიც არიან ჩართულნი.

– ჩვენთან მხოლოდ ერთი პიროვნებაა დაპირისპირებული – მურმან ჯინჭარაძე, რომელიც დაკავებული ძმის წულუკიძეების საქმესთანაა დაკავშირებული. მას გვერდს უმშვენებს ვინმე გოჩა ბარამიძე, რომელიც „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერია. ეს უკანასკნელი დაახლოებულია შს მინისტრ გომელაურთან და სუს-ის ხელმძღვანელ ლილუაშვილთან. ეს მისგან მაქვს მოსმენილი. ისევე ის, რომ მას ვერავინ ვერაფერს უზამს და ვინც დაუპირისპირდება, ამ ხალხს ცუდ დღეს დააყრის. როგორც ჩანს, ჩვენ ამ დაპირისპირებაში ცუდ მხარეს მოვყევით. გოჩა ბარამიძე პირდაპირ ამბობს, რომ მათ არა მარტო სამართალდამცავები, არამედ, ქურდულ სამყაროსთან დაკავშირებულ ადამიანებიც იცავენ. საუბარია ვინმე ენცოზე. ჯინჭარაძეს ჩვენ მიმართ ძალიან დიდი დავალიანება აქვს და, რომ არ მოვთხოვოთ ეს თანხა, დაგვიწვეს ერთი, შემდეგ მეორე მაღაზია, დღეს გამთენიისას კიდევ ერთი ქსელი. სავარაუდოდ, სიცოცხლის ხელყოფაზე გადავლენ, – განაცხადა თამარ კახიძემ.

ლევან ფარტენაძე „ტვ პირველთან“ აღნიშნავს, რომ მურმან ჯინჭარაძე მის დაჭერას პროვოკაციების მოწყობით არაერთხელ შეეცადა. მისივე მტკიცებით, აღნიშნულმა პირმა 50.000 ამერიკული დოლარიც კი გადაუხადა კონკრეტულ ქალს, რომ მისი დაკავება მომხდარიყო.

ფარტენაძე ამ საქმეში „ქურდების ხელზე“ საუბრობს და აღნიშნავს, რომ საბოლოო ჯამში მისი ყოფილი პარტნიორის მიზანია, „ფარფურის“ წილები დათმოს.

– უნდათ, რომ მე ეს ქსელი დავთმო, რომელიც ჩემია. მურმან ჯინჭარაძეს ფართი ნაქირავები ჰქონდა, სადაც 3 თვის განმავლობაში მილიონნახევარი ივაჭრა და მოუნდა, ეს ფული წაიღოს, – აცხადებს ფარტენაძე.

შაქარაშვილის მკვლელობაში ბრალდებულების საქმეს სააპელაციო განიხილავს

19 წლის ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის მკვლელობაში ბრალდებულების საქმის განხილვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაიწყო. მცხეთის რაიონული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ადვოკატებმა 8 ივნისს გაასაჩივრეს.

ბრალდებულების ინტერესების დამცველების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო, რომ სასამართლო პროცესები არადისტანციურ რეჟიმში წარიმართოს, რაც მეორე ინსტანციამ დააკმაყოფილა.

დაცვის მხარე არც სტრასბურის სასამართლოსთვის მიმართვას გამორიცხავს.

– ვინაიდან სისტემა არის ერთიანი და ჩვენ არ ვმიჯნავთ აპელაცია, კასაციასა და პირველ ინსტანციას, ვფიქრობთ, რომ ვერ იქნებიან ბოლომდე დამოუკიდებელნი. ჩვენ ვაპირებთ, წავიდეთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, სადაც ცალსახად დადგინდება კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, – თქვა არჩილ გაგნიძის ადვოკატმა ვასილ მამულაშვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში გიორგი შაქარაშვილის მკვლელობაში ბრალდებული 5 პირის საქმეზე პროცესები 15 ივლისიდან განახლდება.

„სირცხვილიას“ აქტივისტ გიორგი მჟავანაძის საქმე სტრასბურში გაიგზავნა

მოძრაობა „სირცხვილიას“ აქტივისტ გიორგი მჟავანაძის საქმე სტრასბურში გაიგზავნა.

მჟავანაძე 2020 წლის 9 ნოემბერს იმ აქციაზე დააკავეს, სადაც მოქალაქეები საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაყალბებას აპროტესტებდნენ.

გიორგი მჟავანაძემ სტრასბურის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მას შემდეგ მიმართა, რაც სააპელაციო სასამართლომ მისი სარჩელის განხილვაზე უარი თქვა.

– ეს დაკავება თან იყო ძალადობრივი. მე მაშინ 2 ექსპერტიზა ჩამიტარდა, მოსამართლემ პრაქტიკულად არც ერთი გარემოება არ მიიღო მხედველობაში. არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება, რომელიც ჩემს ბრალეულობას ამტკიცებდა, – თქვა გიორგი მჟავანაძემ.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გამკაცრების ფონზე ეს სამოქალაქო აქტივისტების უკვე მე-7 საქმეა, რომელიც სტრასბურში გაიგზავნა. მათგან რამდენიმე, მათ შორის „სირცხვილიას“ წევრების გიგა მაქარაშვილისა და ზუკა ბერძენიშვილის საქმეები უკვე განხილვის პროცესშია.

ადიგენის პოლიციის უფროსს, თამაზ ფაილოძეს, დევნაში ადანაშაულებენ

ადიგენის პოლიციის უფროსს დევნაში ადანაშაულებენ. სოფელ უდეში მცხოვრები ეკა აზირაშვილი ამტკიცებს, რომ მისი შვილი, 28 წლის მამაკაცი, ყოველგვარი მიზეზის გარეშე გუშინ სოფლის ცენტრში დააკავეს, შემდეგ სცემეს და ხელყუმბარის ჩადებით დაემუქრნენ.

– დავრეკე 126-ში, რომ პოლიციამ ჩემი შვილი წაიყვანა, არც ახალციხეშია, არც ადიგენში, არც სამმართველოში და რამე რეაგირება მოახდინეთ-მეთქი. ნახევარი საათის შემდეგ გავიგე, რომ ადიგენში ჰყავდათ მიყვანილი. შემდეგ ჩამოიყვანეს ბორკილებით ნარკოლოგიურში. იქ უცემიათ. რატომ უნდა ხდებოდეს. უდანაშაულო ადამიანს იჭერენ და თანაც სცემენ. დამეხმარეთ, რამე მიშველეთ, – უთხრა რუსთავი 2-ს ეკა აზირაშვილმა.

ეკა აზირაშვილი მომხდარს უშუალოდ თამაზ ფაილოძეს სდებს ბრალად.

აზირაშვილების ოჯახი პროკურატურას მიმართავს.

ოჯახი ამბობს, რომ 28 წლის გოჩა აზირაშვილი პოლიციის სამმა ეკიპაჟმა წაიყვანა. სამართალდამცველებმა მას უთხრეს, რომ ნარკოლოგიურ განყოფილებაში მიჰყავდათ, თუმცა მათ მარშრუტი შეცვალეს, ბიჭი მიტოვებულ შენობაში მიიყვანეს სადაც 12-მდე პოლიციელი გაუსწორდა. მომხდარში მონაწილეობას ადიგენის პოლიციის უფროსიც იღებდა, რომელიც ბიჭს ეუბნებოდა, რომ ციხეში გაუშვებდა.

– 4 საათი უმისამართოდ გამქრალი იყო, ნანგრევებში შეიყვანეს და ურტყამს ეს 12 კაცი. ხელები ამოგრეხილი ჰქონდა, ადიგენის პოლიციის უფროსი ლიმონკას უტრიალებს, მე შენ ახლა 6 წლით გაგიშვებ კურორტზეო. ეს პირველი მუქარა არ არის, ეს არის გამოსვლის დღიდან მუქარა, წასული იყო თვენახევარი, დაურეკეს, ჩამოიყვანეს, რაღაც საქმეზე დაგვეხმარეო, ესეც დაეხმარა, – ამბობს დაკავებულის მამა მალხაზ აზირაშვილი.

დაკავებულის ოჯახი ამბობს, რომ მათი შვილი წლებია, სამართალდამცავების მხრიდან დევნის მსხვერპლია. მას სოფლის დატოვებას აიძულებდნენ და სთხოვდნენ, პოლიტიკური დავალებები შეესრულებინა. კერძოდ, ოჯახი ამბობს რომ ბოლოს მას 100-ზე მეტი ადამიანის შეგროვება დაავალეს, რათა მათი წაყვანა თბილისში, „უცნობის“ აქციაზე მომხდარიყო.

დაკავებული ახალციხის წინასწარი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული. მას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას ედავებიან.

პროკურატურამ საფრანგეთის მოქალაქეების ფულის თაღლითურად დაუფლების ფაქტი გამოავლინა

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ საფრანგეთის მოქალაქეების დიდი ოდენობით ფულადი თანხების თაღლითურად დაუფლებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტი გამოავლინა, რის შედეგადაც ისრაელის ორი მოქალაქისა და ერთი იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ არარეზიდენტი ფიზიკური პირების ფულადი თანხების მოტყუებით დაუფლების მიზნით, მ.კ-მ საქართველოში დააფუძნა უცხოური საწარმოს მსგავსი დასახელების იურიდიული პირი, რომლის სახელზეც საქართველოში მოქმედ საბანკო დაწესებულებებში საბანკო ანგარიშები გახსნა.

მ.კ-მ და დ.კ-მ, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებთან ერთად, საფრანგეთის ოთხი მოქალაქე – ე.ს., ა.ტ., ფ.ო. და ლ.დ. სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით დაარწმუნეს კრიპტოვალუტით ვაჭრობის სფეროში მომგებიანი ინვესტიციების განხორციელებაში.

2018 წლის 21 მარტიდან 2018 წლის 27 აპრილამდე, მათ საფრანგეთის მოქალაქეებს ჯამში 159.905 ევრო (476.281 ლარი) მოტყუებით ჩაარიცხვინეს მ.კ-ს მიერ დაფუძნებული საწარმოს ანგარიშზე, რომელსაც მ.კ. და დ.კ. მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ. შემდგომში კი აღნიშნული თანხა დ.კ-მ პირადი საბანკო ანგარიშიდან სწრაფი ფულადი გზავნილების სახით ისრაელში ოჯახის წევრების სახელზე გადარიცხა. აღნიშნული ქმედებებით, მ.კ-მ და დ.კ-მ ჯამში 73.995 ევროს და 13.100 აშშ დოლარის (253.055 ლარი) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია მოახდინეს.

მ.კ-ს და დ.კ-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 194-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 2021 წლის 7 ივნისს წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მ.კ.-ს დაფუძნებული საწარმოს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დაიწყო, რაც სასჯელის სახედ ლიკვიდაციას ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევასა და ჯარიმას ითვალისწინებს.

საქართველოს გენერალური პროკურატურა აგრძელებს გამოძიებას დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების, ასევე ანალოგიური საქმიანობით დაკავებული სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების გამოვლენისა და მხილების მიზნით.

საგამოძიებო სამსახურმა 1 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა შიდა ქართლის რეგიონში ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებისა და გამოყენების ფაქტებზე ერთი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო.

გამოძიებით დადგინდა, რომ სამშენებლო ფირმის დირექტორმა, სახელმწიფო შესყიდვებში გამარჯვების მოპოვების მიზნით, 2018-2019 წლებში დაამზადა და სხვადასხვა შემსყიდველ ორგანიზაციებს წარუდგინა 2.529.645 ლარის ღირებულების ყალბი ხელშეკრულებები, რის შედეგადაც საწარმოს გაუფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები.

გამოძიებით დადგინდა, რომ შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის წარდგენილი ყალბი ოფიციალური დოკუმენტებით გათვალისწინებული ოპერაციები ფაქტობრივად არ განხორციელებულა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით.

თემქაზე 30 წლის ქალის გაუპატიურება ცადეს

7 ივნისს, ღამით, თემქაზე, ერთ-ერთ კორპუსთან, პოლიცია იყო მობილიზებული. „რუსთავი 2“-ის ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცმა ნაცნობ ქალზე იძალადა.

30 წლამდე ქალი პოლიციამ უკვე დაკითხა. საუბარია გაუპატიურების მცდელობაზე. სწორედ ამ მუხლით დაიწყო გამოძიება სამართალდამცავ უწყებაში.

დადგენილია სავარაუდო ბრალდებულის ვინაობაც. ის დაზარალებულის ოჯახის ახლობელია, თუმცა „რუსთავი 2“ დაზარალებულისა და სავარაუდო მოძალადის ვინაობას არ ასაჯაროებს.

სოხუმში არძინბას ძმისშვილის მეგობარი ჩაცხრილეს

არძინბას ძმისშვილის მკვლელობის შემდეგ, გუშინ, 9 ივნისს, სოხუმის ცენტრში, მოკლული ქემალ არძინბას მეგობარი ჩაცხრილეს.

ბ.პ. ამ დროისთვის საავადმყოფოშია გადაყვანილი და მისი მდგომარეობა კრიტიკულია.

ფაქტს კი წინ სიტყვიერი დაპირისპირება უძღოდა, თუმცა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ მანამდე კონფლიქტი და საქმის გარჩევა იყო ბზიფში, სადაც ერთმანეთს არძინბასა და ე.წ. დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ.

გუშინ კი სოხუმის ცენტრში მანქანიდან დაახლოებით ათჯერ გაისროლეს. ახალგაზრდა კაცი იმ დროს დაჭრეს, როცა ქუჩაზე გადადიოდა. მას ჭრილობები ძირითადად გულ-მკერდისა და მუცლის არეში აქვს.

თავდამსხმელები მიიმალნენ. გარჩევაში კანონიერი ქურდები მონაწილეობდნენ და კონფლიქტი ფსოუს საბაჟოზე ტვირთების შემოტანას უკავშირდება.

არძინბას ოჯახის წევრები ამბობენ, რომ მათზე გამიზნული ტერორი მიმდინარეობს.

საერთაშორისო

საფრანგეთი და ბელგია ზაფხულში კოვიდრეგულაციებს ამსუბუქებენ

საფრანგეთი და ბელგია ზაფხულის პერიოდში პანდემიასთან დაკავშირებულ რეგულაციებს ამსუბუქებენ და რიგ დაწესებულებებს ხსნიან.

საფრანგეთში ბოლო შვიდი თვის განმავლობაში პირველად ბარების, რესტორნების, ფიტნესდარბაზებისა და საცურაო აუზების შიდასივრცეები გაიხსნა. საფრანგეთში რესტორნები და ბარები შიდასივრცეებში მხოლოდ 50%-იანი დატვირთვით იმუშავებენ. იგივე წესი ვრცელდება საცურაო აუზებსა და სპორტდარბაზებზეც. გარეტერასები, რომლებზეც გასულ თვეში შეზღუდვები ვრცელდებოდა, ახლა სრული დატვირთვით იმუშავებენ. რაც შეეხება ე.წ. კომენდანტის საათს, მისი პერიოდიც 2 საათით შემცირდა და ახლა ფრანგებს გარეთ ყოფნა საღამოს 23 საათამდე შეეძლებათ. თუ ინფიცირების მაჩვენებელი დაიკლებს, კომენდანტის საათი, შესაძლოა, 30 ივნისს გაუქმდეს.

ევროკავშირის წევრებისა და სხვა ქვეყნების, მათ შორის ავსტრალიის, ისრაელის, ლიბანისა და სამხრეთ კორეის მცხოვრებლებს საფრანგეთში შესვლა პისიარ ტესტის გარეშე შეეძლებათ, თუკი სრულად ჩაიტარეს ვაქცინაცია ევროკავშირში დამტკიცებული ვაქცინებით.

სხვა ქვეყნებიდან, მათ შორის აშშ-დან და დიდი ბრიტანეთიდან ჩამსვლელ მგზავრებს, რომლებმაც სრული ვაქცინაცია ჩაიტარეს, კვლავ მოუწევთ ტესტის უარყოფითი პასუხის წარდგენა, თუმცა აღარ მოუწევთ მგზავრობის აუცილებლობის დასაბუთება.

ბელგიამაც დაუშვა რესტორნებისა და კაფეების დახურულ სივრცეებში ფუნქციონირება. დახურულ სივრცეში დასაშვებია ღონისძიებები, რომლებსაც არ უნდა დაესწროს 200 ადამიანზე მეტი. ბელგიელებს ასევე შეუძლიათ ერთმანეთის სახლებში სტუმრობა, თუმცა მხოლოდ 4 სტუმარი დაიშვება.

თალიბებმა 10 გამნაღმველი დახოცეს

ავღანეთში, ბაღლანის პროვინციაში, „თალიბანის“ მებრძოლები გამნაღმველებს დაესხნენ თავს. დაღუპულია 10 და დაშავებულია 14 ადამიანი.

ამის შესახებ ინფორმაციას მედია ადგილობრივ სამართალდამცავებზე დაყრდნობით ავრცელებს.

მომხდარზე პასუხისმგებლობა არავის აუღია, თუმცა ავღანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა თარექ არიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თავდასხმა თალიბების მოწყობილია.

– თალიბები შევიდნენ განაღმვითი სააგენტოს შენობაში და ყველას ესროდნენ, – აღნიშნა სამინისტროს წარმომადგენელმა.

დაღუპულები და დაშავებულები საერთაშორისო განაღმვითი ორგანიზაციისთვის მუშაობდნენ, რომელსაც ქვეყანაში დაახლოებით 2.600 თანამშრომელი ჰყავს.

ვაშინგტონში აცრის მსურველებს ლუდს ან მარიხუანას აჩუქებენ

აშშ-ში ვაშინგტონის შტატის ალკოჰოლისა და კანაბისის კომისიამ მწვანე შუქი აუნთო პროგრამას „ჯოინთი აცრისთვის“, რომლის ფარგლებშიც ვაქცინის პირველი ან მეორე დოზის მიღების შემდეგ 21 წელს გადაცილებულ პირებს შეეძლებათ, „ჯოინთი“ (თამბაქოსა და მარიხუანის ნარევი) უფასოდ მიიღონ.

პროგრამა 12 ივლისამდე იმოქმედებს. „ჯოინთების“ გარდა, პროგრამის ფარგლებში უფასო ლუდს, ღვინოს ან კოქტეილსაც სთავაზობენ. შტატში მარიხუანის მოხმარება ლეგალურია.

ვაშინგტონის შტატში მოსახლეობის 58 პროცენტს – ვაქცინის ერთი, ხოლო 49 პროცენტს ორი დოზა აქვს მიღებული.

ვაშინგტონის შტატი არ არის ერთადერთი, რომელმაც ვაქცინაციის წახალისებისთვის ამ გზას მიმართა. არიზონის ერთ-ერთ კლინიკაში მოქალაქეებს ასევე სთავაზობდნენ უფასო „ჯოინთებს“ ვაქცინაციის სანაცვლოდ.

აპრილის შუა რიცხვებიდან აშშ-ში ვაქცინაციის მაჩვენებელმა იკლო, რის გამოც შტატებმა სხვადასხვა წამახალისებელი პროგრამის დანერგვა დაიწყეს. მაგალითად, ნიუ იორკში – უმაღლესი განათლების სრულად დაფინანსება, ხოლო ოჰაიოში 1 მილიონი აშშ დოლარის მოგება შესაძლებელი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სპორტი

ლაშა შავდათუაშვილმა მსოფლიოსაც გადმოხედა

ბუდაპეშტში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ლაშა შავდათუაშვილი ჩემპიონი გახდა. შავდათუაშვილი პირველი ქართველი ძიუდოისტია, რომელმაც სრული კომპლექტი შეავსო და ყველა დიდ ტურნირზე ოქროს მედალი მოიპოვა – ახლა ლაშა ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონია.

73 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში შავდათუაშვილმა ფინალში შვედ ტომი მაციას დამატებით დროში აჯობა, ოქროსკენ მიმავალ გზაზე კი პერუელი ალონსო ვონგა, ბრაზილიელი ედუარდო ბარბოსა, ისრაელის წარმომადგენელი ეჰონათან ელბაზი, მასპინძელი მიკკლოშ უნგვარი და თურქი ბილალ სილოღლუ დაამარცხა.

მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ ძიუდოისტმა ლაშა შავდათუაშვილმა პირველი კომენტარი გააკეთა.

ლაშა შავდათუაშვილი:

– მინდა, მოგილოცოთ ეს დიდი გამარჯვება. ბედნიერი ვარ თქვენთან ერთად ამ შედეგით. ჩემთვის ძიუდოს ძალიან დადებითი ემოციები მოაქვს. ყოველდღიურად ვცდილობ, დავიხარჯო. მიყვარს ჩემი საქმე, მიყვარს ძიუდო, მიყვარს კვარცხლბეკზე დგომა. ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს დროშა ყველაზე მაღლა იყო და ჰიმნი ავაჟღერე. ბედნიერი ვარ მხოლოდ იმით, რომ მესამე ოლიმპიურ თამაშებზე გამოვალ და კიდევ ვიბრძოლებ გამარჯვებისთვის. უბრალოდ, მოვლენებს წინ არ გავუსწრებ.

მესამე საჭიდაო დღეს ტატამზე ნუგზარ ტატალაშვილი (73 კგ) და ეთერ ლიპარტელიანი (57) გავიდნენ.

ტატალაშვილმა ბუდაპეშტში ერთი ბრძოლა მოიგო – პირველ წრეში ბელარუსი ვაძიმ შოკა დაამარცხა, მაგრამ მეორე წრეში რუმინელ ადრიან სლუკასთან დამარცხდა. დასანანი მარცხი განიცადა ლიპარტელიანმა, რომელიც მერვედფინალში ტურნირის ფავორიტ იაპონელ მომო ტამაოკის თანაბრად ეჭიდავა, მაგრამ ერთ მომენტში მოდუნდა, მეტოქემ ამით ისარგებლა და ჩვენიანი ტატამზე დასცა. მანამდე ლიპარტელიანმა ჩეხ ვერა ზემანოვასა და ბელგიელ მინა ლიბეერს მოუგო.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქალეიდოსკოპი

ღამის კლუბიდან გამოგდებულ 26 წლის ქალს 55 წლის მცველი შეუყვარდა

ინგლისის ქალაქ მიდლსბროში ღამის კლუბიდან გამოგდებულ ქალს, სწორედ მისი გამომძევებელი შეუყვარდა და მისგან ბავშვიც გააჩინა.

26 წლის ლორენ კერმა და 55 წლის ენტონი შეილორმა ერთმანეთი 2017 წელს გაიცნეს. ქალმა ღამის კლუბში არეულობა მოაწყო და შეილერმა, რომელიც დაწესებულების დაცვის თანამშრომელი იყო, ის ქუჩაში გამოაძევა.

– მომდევნო ორშაბათს კი ახალ სამსახურში გავედი და ის იქ დამხვდა, – განაცხადა კერმა. აღმოჩნდა, რომ შეილერისთვისაც ეს ახალ სამსახურში მუშაობის პირველი დღე იყო.

მიუხედავად 29 წლის ასაკობრივი სხვაობისა, კერისა და შეილორს შორის თითქმის მაშინვე ჩაისახა რომანტიკული ურთიერთობა.

– მან მითხრა, რომ ძალიან ღამაზი ვიყავი, მე კი მისი ქარიზმა და თავის დაჭერის მანერა მომეწონა, – იხსენებს ახალგაზრდა ქალი.

საბოლოოდ მათი ახლო ურთიერთობა 2017 წლის ნოემბრიდან დაიწყო, ხოლო 2020 წლის აპრილში შეყვარებულ წყვილს გოგონა შეეძინა, რომელსაც რუბი დაარქვეს.

კერი ამტკიცებს, რომ ისინი ხშირად მამა-შვილი ჰგონიათ. თავდაპირველად ეს მას უხერხულობას უქმნიდა, თუმცა ახლა უკვე ამას შეეჩვია და იუმორით ხვდება. ამჟამად წყვილი დაქორწინებას გეგმავს და საცხოვრებლად ახალ სახლს ეძებს.



ქალის სახელით ბოროტმოქმედებმა მამაკაცი სასტუმროში შეიტყუეს და გაძარცვეს

დუბაიში ბოროტმოქმედების ბანდამ თავი ქალებად გაასაღა, მამაკაცი სასტუმროში შეიტყუა, სცემა და გაძარცვა.

40 წლის სირიელმა მენეჯერმა გაცნობის გვერდზე გაიცნო ქალი. ისინი თითქმის ერთი თვის მანძილზე ურთიერთობდნენ ინტერნეტით, სანამ ქალი მას საკუთარ ფოტოს და ტელეფონის ნომერს გაუგზავნიდა და სასტუმროში შეხვედრას შესთავაზებდა. თუმცა აღმოჩნდა, რომ ქალის მაგივრად მამაკაცს სასტუმროში ბოროტმოქმედები ელოდნენ.

სამმა მამაკაცმა და სამმა ქალმა სირიელი ნომერში შეათრიეს, საფულიდან ფული ამოაცალეს, შემდეგ კი აწამეს, რათა მას მათთვის საბანკო ბარათის პაროლი გაეგზავნა. ამის შემდეგ მას ისევ სცემეს, შემდეგ კი წავიდნენ და ნომერში მარტო მიატოვეს. სულ დაზარალებულს ბოროტმოქმედებმა 29 ათასი დირხამი წაართვეს.

პოლიციამ თითის ანაბეჭდების წყალობით ორი დამნაშავე დააკავა. ისინი 32 და 37 წლის ნიგერიელები აღმოჩნდნენ. მათ ბრალად ედებათ ძარცვა, თავდასხმა და დაზარალებულის გატაცება. დანარჩენი დამნაშავეების დაკავება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

კანალიზაციაში გზააბნეულმა ქალმა თავი სხვა შტატში ამოყო

ამერიკელი ქალი, რომელსაც რამდენიმე თვის წინ გზა აებნა კანალიზაციაში და სამი კვირა დახეტიალობდა მილებში ჩაუცმელი, მიწისქვეშეთიდან დაიხსნეს.

მაისში 43 წლის ლინდსი კენედი ტეხასის შტატის სარეაბილიტაციო ცენტრიდან ერთკვირიანი მკურნალობის შემდეგ გაიქცა. პოლიციელებმა მას ნაკადულთან მიაგნეს, მაგრამ როდესაც მასთან მიახლოვებას შეეცადნენ, ის მათ ხელიდან დაუსხლტა, სანიაღვრეში ჩახტა და მიწის ქვეშ გაუჩინარდა.

ამის შემდეგ ქალის ძებნას მისი ნათესავები და მეგობრები შეუდგნენ. მათ გაარკვიეს, რომ მისი მოძებნა მის ტელეფონში არსებული დანართების დახმარებით მოხერხდებოდა, რის შემდეგაც შემოგარენში მიწისქვეშა კომუნიკაციების დათვალიერებას შეუდგნენ. სანამ ძებნა მიმდინარეობდა, კანალიზაციებში ჭებიდან ყრიდნენ საკვებს და გამამხნევებელ სასმელებს, რათა ქალს სიცოცხლე შეენარჩუნებინა. 29 მაისს ქალმა თავად გამოაღწია ორმეტრიანი სანიაღვრე მილიდან, რის შემდეგაც ის იძულებით გადაიყვანეს უახლოეს საავადმყოფოში. კენედის ნათესავები ამტკიცებენ, რომ მას ფსიქოზი და ტრავმის შემდგომი სტრესული აშლილობა სტანჯავს. ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის ნარკოტიკების მომხმარებელი იყო.

პოლიციელმა მემკვიდრეობის მისაღებად თავი გეიდ გაასაღა

ავსტრალიის ახლი სამხრეთ უელსის შტატში ყოფილმა პოლიციელმა სოლიდური მემკვიდრეობის მისაღებად, თავი გეიდ გაასაღა.

პოლიციელი ოკან იესილჰატი ცდილობდა ფარმაცევტ ჯორჯ სკლავოსის ანდერძის უმართებულობის დამტკიცებას და მათი 14-წლიანი ურთიერთობა გააყალბა. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის სკლავოსის, რომელიც მასზე 30 წლით უფროსი იყო, ფარულად დე-ფაქტო პარტნიორი იყო და ამგვარად მას შეეძლო პრეტენზია განეცხადებინა მის მემკვიდრეობაზე, ექვს მილიონ ავსტრალიურ დოლარზე.

2013 წლის აგვისტოში სკლავოსის მიერ გულის შეტევის გადატანიდან სულ რაღაც სამ საათნახევარში იესილჰატმა ფარმაცევტის ანგარიშიდან საკუთარ თავს 200 ათასი ავსტრალიური დოლარი გადაურიცხა. როგორც მოგვიანებით გამოძიებამ დაადგინა, ეს ყველაზე მსხვილი განხორციელებული ტრანზაქცია იყო ფარმაცევტის ანგარიშის არსებობის განმავლობაში. თავად სკლავოსმა საკუთარი ქონება თავის ორ ნათესავს უანდერძა. ის არასოდეს ყოფილა დაოჯახებული, არ ჰყოლია შვილები. მისმა მემკვიდრეებმა იესილჰატის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს. გამოძიებამ დაადგინა. რომ პოლიციელი 14 წლის განმავლობაში ორ სხვადასხვა ქალზე იყო დაქორწინებული, ანუ იმ პერიოდში, რომელზეც ის აცხადებს, რომ ფარმაცევტთან ჰქონდა ურთიერთობა.

2018 წლის დეკემბერში სასამართლომ ყოფილი პოლიციელი ბრალდების 14 ეპიზოდში, რომლებიც თაღლითობას და უკანონოდ თანხების მითვისებას უკავშირდება, დამნაშავედ ცნო. მას ორი წლით გამოსასწორებელი ვადა და 750 საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოს შესრულება მიესაჯა. მან ასევე უნდა აანაზღაუროს სასამართლო ხარჯები. მიმდინარე წლის მაისში ახალი სამხრეთ უელსის შტატის სააპელაციო სასამართლომ იესილჰატის სარჩელი არ მიიღო და ამგვარად, წინა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადახედვაზე უარი თქვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

გურამ დოლენჯაშვილის პერსონალურ გამოფენას ხელოვნების სასახლე უმასპინძლებს

ფანქრის ჯადოქრად წოდებული უნიჭიერესი გრაფიკოსის გურამ დოლენჯაშვილის პერსონალურ გამოფენას საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი უმასპინძლებს.

11 ივნისს მხატვარი დამთვალიერებელს პერსონალური გამოფენის გახსნაზე ეპატიჟება.

ქუთაისში დაბადებული შემოქმედის ნამუშევრები გამოფენილი გახლდათ აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში, შვედეთში, ავსტრიაში, გერმანიაში, იაპონიაში.... მისი ნახატები ინახება სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებსა თუ კერძო პირთა კოლექციებში.

გამოფენაზე მისული დამთვალიერებელი იხილავს ფანქრით შესრულებულ ნამუშევრებს, რომლებიც საკმაო რეალისტურობით გამოირჩევა და მნახველზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს.

გურამ დოლენჯაშვილის ნამუშევრების დათვალიერება მუზეუმის ვიზიტორებს ერთი თვის განმავლობაში, 11 ივლისამდე შეეძლებათ.

მირიან ხუხუნაიშვილი საერთაშორისო კონკურსის ფავორიტებშია

ახალგაზრდა ქართველი დირიჟორი მირიან ხუხუნაიშვილი დირიჟორთა საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობს და რჩეულთა შორისაა.

მირიანი რჩეულ 24 კონკურსანტს შორის დასახელდა – მასთან ერთად იყვნენ რუსი დირიჟორებიც. მეორე ტურში მხოლოდ 12 კონკურსანტი გადავიდა, მათ შორის – არც ერთი რუსი. კონკურსის ოფიციალურმა ვებგვერდმა გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით „გუდბაი თუ დი რაშანს“ (ნახვამდის, რუსებო) და მირიან ხუხუნაშვილის ფოტო დაბეჭდა.

მირიან ხუხუნაიშვილის პირველი ტურის ვიდეოჩანაწერი ინტერნეტში გავრცელდა და მას ბევრი მოწონება, გაზიარება და დადებითი კომენტარი აქვს.

გეგა კობახიძე 60 წლის გახდებოდა



მსახიობი გეგა კობახიძე 60 წლის გახდებოდა. რეჟისორ მიხეილ კობახიძისა და მსახიობ ნათელა მაჭავარიანის ერთადერთი შვილი „თვითმფრინავის ბიჭების“ ამბის მონაწილე იყო, რის გამოც იგი 23 წლის ასაკში სიკვდილით დასაჯეს.

მიუხედავად მცირე ასაკისა, გეგამ რამდენიმე ფილმში მოასწრო თამაში და მაყურებელს თავი სამუდამოდ დაამახსოვრა და შეაყვარა. მისი შემოქმედების სავიზიტო ბარათად კი მაინც ფილმი „ლაზარე“ რჩება, სადაც 12 წლის ბიჭმა დაუვიწყარი სახე შექმნა. გეგამ მონაწილეობა მიიღო ნანა მჭედლიძის ფილმში „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“, ნიკოლოზ სანიშვილის ფილმში „ჩიტის რძე“, ლანა ღოღობერიძის ფილმში „აურზაური სალხინეთში“, ალექსანდრე ნინუას ფილმში „ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა“, მისი უკანასკნელი ნამუშევარი კი ბაადურ წულაძის ფილმი „კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის“ აღმოჩნდა.

გეგა მონაწილეობდა თენგიზ აბულაძის ფილმ „მონანიების“ გადაღებებში, რომელშიც თორნიკე არავიძის როლს ასრულებდა. „თვითმფრინავის ბიჭების“ ამბების გამო გეგა ფილმიდან ამოჭრეს და მისი როლი მერაბ ნინიძემ ითამაშა.

საზოგადოებამ ხელმოწერები შეაგროვა და მაშინდელ ხელისუფლებას „თვითმფრინავის ბიჭებისთვის“ სიკვდილით დასჯის შეცვლა სთხოვა, თუმცა განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი და ბიჭები დახვრიტეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პაატა გურასპაული: „ძლიერ ჯგუფში ვართ, მაგრამ ბერლინში ჩავალთ“

2022 წელს საქართველო საკალათბურთო ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი მასპინძელია და ჯგუფური ეტაპის მატჩები თბილისში ჩატარდება. სტუმრად ესპანეთის, თურქეთის, რუსეთის, ბელგიისა და ბულგარეთის ნაკრებები გვეწვევიან. ჯგუფიდან 4 საუკეთესო ფლეი ოფში გავა, ბერლინში გადაინაცვლებს და მედლებისთვის ბრძოლას იქ გააგრძელებს.

ევროპირველობის სამასპინძლოდ თბილისში ახალი დარბაზი შენდება.

თუ როგორ მიდის მზადება ევროპირველობისთვის, ამაზე კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **პაატა გურასპაული** გვესაუბრა.

– ევროპის ჩემპიონატის თანამასპინძელი ქვეყანა ვართ და ჯგუფის მეტოქეებს თბილისში მივიღებთ, რაც მცირე უპირატესობას გვაძლევს. როგორ შეაფასებდით ჯგუფს?

– ზოგისთვის ძლიერი ჯგუფია, ზოგიერთისთვის, შესაძლოა, მარტივად გადასალახი აღმოჩნდეს. რაც შეეხება ჩემს აზრს: რუსეთი რომ ვერ აგვცდებოდა, წილისყრამდე იყო ცნობილი. ევროპის ჩემპიონატამდე დარჩენილ დროში თუ რამე კარდინალური არ მოხდა, რუსეთს ისეთი გუნდი ნამდვილად არ ეყოლება, როგორიც, მაგალითად, კირილენკოსა და ხრიაპას დროს ჰყავდა. სუსტი იქნებაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ, ფაქტია, თაობათა ცვლას განიცდის და ეს ფაქტორი უნდა გამოვიყენოთ.

ესპანეთის ნაკრები – მსოფლიო ჩემპიონი. რუსების მსგავსად, მათაც აქვთ თაობათა ცვლის პრობლემა. დიდი ალბათობით, ძმები გასოლები არ იქნებიან, ასევე ლული და ფერნანდესი კითხვის ნიშნის ქვეშ დგანან. თუმცა მაინც ესპანეთია, აქვს შიდა ძლიერი ჩემპიონატი. პლუს, მსოფლიო ჩემპიონის საქართველოში ჩამოსვლა პრესტიჟულია და ევროპაში ტონის მიმცემ კალათბურთელებს თბილისში ვიხილავთ.

თურქეთის ნაკრები იქნება ერთ-ერთი სერიოზული გუნდი, მით უფრო, იმის შემდეგ, რაც შეი ლარკინი დაიმატეს, ევროპირველობის ერთ-ერთი ფავორიტი იქნება. თუმცა ჩვენ მზად ვიქნებით მათთან სათამაშოდ.

ბულგარეთი თითქოს აუტსაიდერად მოჩანს და სხვებისთვის, შესაძლოა, ყველაზე სუსტი იყოს, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ამ გუნდმა ტურნირს მიღმა დატოვა ლატვიის ნაკრები, ამასთან, ბოლო თამაში სტუმრად მოუგო. ნურავინ იფიქრებს, რომ ფურცელზე აუტსაიდერად მიჩნეული ბულგარეთის ნაკრების ვინმესთვის ხელწამოსაკრავი გუნდი იქნება. რამდენიმე ბულგარელი ევროლიგისა და ევროთასების მონაწილე გუნდებშია. ჩვენ ფავორიტები ვიქნებით ბულგარეთთან და ეს უნდა დავამტკიცოთ.

ბელგია – ერთ-ერთი ყველაზე ამოუცნობი გუნდი. შეუძლიათ სიურპრიზების შეთავაზება. კარგი გუნდი ჰყავთ, კარგი კალათბურთელებით. ამ გუნდზე წარმოდგენა გვაქვს. ვიცით, რომ იქნება საშუალო დონის გუნდი. მათთან მოგება გვაქვს დაგეგმილი და ასეც უნდა იყოს, თუ რამეზე პრეტენზია გვაქვს.

ძლიერი ჯგუფია, მაგრამ საქართველოს ნაკრები ბოლო დროს მიეჩვია იმას, რომ მოედანზე ყველასთან მოსაგებად გადის და ეს სერბეთთან თამაშისას დამტკიცდა. ილიას ზუროსს ისე აქვს აწყობილი მექანიზმი, რომ გუნდი განწირული არ გადის მოედანზე. ჩვენი მთავარი მიზანია ჯგუფიდან გასვლა. რა თქმა უნდა, უკეთესი იქნება, რაც შეიძლება მაღალი ადგილით, მაგრამ, თუ გადავხედავთ იმ ჯგუფს, საიდანაც უკვე ფლეი ოფში უნდა შევხვდეთ მეტოქეს, პოტენციალით ყველა ერთნაირია. ბოლო ორი გუნდი რომ არ ვთქვა, წარმოიდგინეთ გერმანია, სლოვენია, საფრანგეთი და ლიეტუვა – ვერავინ იტყვის, რომ ფლეი ოფში რომელიმე სხვაზე სუსტი იქნება.

დარწმუნებული ვარ, რომ ჯგუფიდან გავალთ, წავალთ ბერლინში. იქ კი ყველა თამაში ფინალის ტოლფასი იქნება.

– თურქეთი ფავორიტად მიგაჩნია, მაგრამ ჯგუფში ჩვენ „დავპატიჟეთ“.

– დიახ, თურქეთი ჩვენი არჩევანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი გუნდი ჰყავს, ქვეყნის ეკონომიკიდან გამომდინარე, გვინდოდა, ისეთი ნაკრები აგვერჩია, რომელიც მაყურებელს ჩამოიყვანდა. არ დავმალავ და თურქეთამდე გვქონდა შეთავაზება რამდენიმე ქვეყანასთან, რომლებმაც ძალიან კულტურული და ზრდილობიანი უარი მოგვახსენეს. ეს ლიეტუვას შემდეგ. სანამ ბალტიისპირელები გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, ველაპარაკე არვიდასს საბონისს, მითხრა, რომ იფიქრებდნენ, მაგრამ შემდეგ გერმანია აირჩიეს. საბონისმა ჩემთან საუბარში აღნიშნა, რომ მათთვის ასეთი ვარიანტი უკეთესი იყო და ჩემი გადასახედიდანაც უფრო რაციონალური გადაწყვეტილება მიიღეს. ლიეტუვის შემდეგ კიდევ 2 შეთავაზება გვქონდა. არ მინდა ქვეყნების დაკონკრეტება, თუმცა ბოლოს თურქეთზე შევჯერდით, საიდანაც ძალიან ბევრ გულშემატკივარს ველოდებით.

– თბილისში გასამართ ჯგუფურ ეტაპზე მაყურებელი, წესით, არც ბულგარეთს უნდა მოაკლდეს და არც რუსეთს.

– მაყურებელთა მხრივ, ყველაზე ცოტა რაოდენობას ბელგიიდან ველოდებით. ბულგარელებმა იციან საქართველოს ფასი, აქაური სტუმართმოყვარეობა. აქედან გამომდინარე, გარკვეულ რაოდენობას ჩამოიყვანენ.

რუსეთის ნაკრებსაც ჩამოჰყვება გულშემატკივარი. დარწმუნებული ვარ, მათგანაც ძალიან დიდი ინტერესი იქნება.

ესპანეთს ყოველთვის დაჰყვება ერთგული გულშემატკივარი თავისი ლიდერით და, ეჭვიც არ მეპარება, რომ ესპანურ „დესანტს“ თბილისში აუცილებლად ვიხილავთ.

თურქეთზე უკვე გითხარით და კარგია ის, რომ ყველა ქვეყნიდან ველოდებით გარკვეულ რაოდენობას, რაც აუცილებლად წაადგება ქვეყანას.

– ევროპირველობისთვის დარბაზის მშენებლობა რა პროცესშია, რამე პრობლემები ხომ არ ექმნება?

– დარბაზთან მიმართებით ჩვენ არაფერში ვერევით და ამის პასუხისმგებლობა სახელმწიფოს აქვს. შესაძლოა, კორონავირუსიდან გამომდინარე, რამე შეფერხებები ჰქონდათ, მაგრამ ვხედავთ, რომ შენდება, მშვენდება და დასასრულს უახლოვდება. არანაირი კითხვები არ არის, რომ 2022 წლის სექტემბრისთვის დარბაზი სრულ მზადყოფნაში არ იყოს. პირიქით, ჩვენ ძალიან დიდი თხოვნა გვაქვს მშენებლებთან, რომლებსაც წელიწად-ნახევრის განმავლობაში დღე არ გაუცდენიათ, თებერვლის სანაკრებო ფანჯრისთვის უკვე მზად იყოს დარბაზი. მომავალი წლის თებერვალში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი იწყება და გვინდა, ისიც ახალ დარბაზში ვითამაშოთ. ეს გარკვეული ტესტირებაც იქნება ევროპის ჩემპიონატისთვის, პლუს დამატებითი მოტივაცია როგორც კალათბურთელების, ასევე გულშემატკივრებისთვის.

– ზემოთ ესპანეთის ლიგა ახსენეთ, როგორც ევროპაში წამყვანი და ტონის მიმცემი. ლიგის საუკეთესო კალათბურთელი კი გიორგი შერმადინი გახდა.

– ეს ძალიან დიდი მიღწევა და დიდი შრომის შედეგია. მივულოცოთ გიორგი შერმადინს ესპანეთის ლიგის საუკეთესო კალათბურთელის წოდება. გიორგიმ ისეთი რამ გააკეთა, რომელსაც მომავალში, შესაძლოა, მე კი არა, ჩემი შვილიშვილებიც ვერ მოესწრონ.

– დასრულდა საკალათბურთო სუპერლიგა. როგორ შეაჯამებდით?

– წლევანდელი სუპერლიგა ბოლო პერიოდში ყველაზე დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ჯერ კიდევ თასის ფინალის დროს ვთქვი, რომ ასეთი ხარისხიანი თამაშები ჩვენს ჩემპიონატში არ მინახავს. აქ მარტო დაძაბულობაზე არ არის საუბარი. ხარისხი ბევრად უკეთესია და ეს არა მხოლოდ ლეგიონერების ხარჯზე, არამედ ქართველი კალათბურთელების მონდომებითაც. ზოგიერთი უკვე ნაკრებშია, ზოგიერთს გზა გაეხსნა ეროვნულ გუნდში სათამაშოდ. უფრო ის მახარებს, რომ ამ პანდემიის პერიოდში მოხდა ეს და უკეთესი ჩემპიონატი გამოგვივიდა.

– მომავალ წელს ფორმატი იგივე იქნება? იყო შემთხვევები, როცა სპორტული პრინციპი დაირღვა.

– იყო 2 ასეთი შემთხვევა და ორივე რეგიონის გუნდი იყო (რუსთავი და ბათუმი). კი, გარკვეულწილად იყო სპორტული პრინციპის დარღვევა, მაგრამ რეგიონში კალათბურთის ჩაკვლის სურვილი არ გვქონდა. მივიღეთ კიდეც შედეგი და წლევანდელი ფინალი ამის დასტურია. რუსთავმა გაითავისა ის, რომ საჭიროა უკეთესი მიდგომა და აგერ უკვე სუპერლიგის გამარჯვებულია.

რაც შეეხება მომავალი სეზონის ფორმატს, გამგეობა შეიკრიბება, იმსჯელებს. სადღეისოდ კონკრეტული არაფერი გვაქვს დაგეგმილი და იმ ფორმატს ვგეგმავთ, როგორც სეზონი დავასრულეთ, თუმცა, გეტყვით იმასაც, რომ მონაწილე გუნდი კენტი (წლევანდელ სუპერლიგაში 11 გუნდი მონაწილეობდა) არ უნდა იყოს, რადგან ერთი გუნდი ყოველთვის ისვენებს ტურში. საბოლოოდ, ალბათ მაინც მივალთ იქამდე, რომ რაღაც შეიცვლება. ყოველ შემთხვევაში, ახალი სეზონისთვის არ ვფიქრობთ.

– და პრობლემატური თემა – ქართული გუნდები ევროტურნირებზე არ გადიან. თუ იგეგმება რამე ამ კუთხით?

– ეს ჩვენთვისაც ძალიან მტკივნეული საკითხია. თუმცა კალათბურთის ფედერაცია კლუბების საქმიანობაში ვერ ერევა, რადგან ყველა კლუბი კერძო საკუთრებაა. ერთადერთი, ჩვენ რაც შეგვეძლო, ყველას დავუდასტურეთ, რომ თუ მონაწილეობას მიიღებენ, გვერდით დავუდგებით – ინფრასტრუქტურა, ორგანიზაციული საკითხები... რაც შეგვეძლება, ყველაფერში გვერდით დავუდგებით. ჩვენთვის კარგი იქნება, თუ რომელიმე მაინც ევროტურნირებზე ითამაშებს. იმედი მაქვს, გაივლის პანდემიის პერიოდი და რომელიმე ქართული კლუბი, ერთი მაინც, ამ ნაბიჯს გადადგამს, გამონახავს ფინანსებს.

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

შედეგები

8 ივნისი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

კოსოვო-გვინეა	1:2
ბენინი-ზამბია	2:2
პოლონეთი-ისლანდია	2:2
გამბია-ტოგო	1:0
უნგრეთი-ირლანდია	0:0
ჩეხეთი-ალბანეთი	3:1
მაროკო-განა	1:0
სენეგალი-კაპო ვერდე	2:0
საფრანგეთი-ბულგარეთი	3:0

მრ-2022. შესარჩევი ეტაპი

ს.ამერიკა

ეკვადორი-პერუ	1:2
ვენესუელა-ურუგვაი	0:0
კოლუმბია-არგენტინა	2:2
პარაგვაი-ბრაზილია	0:2
ჩილე-ბოლივია	1:1

კონკაკაფი

ჰაიტი-ნიკარაგუა	1:0
ტრინიდადი-სენტ კიტსი	2:0
კიურასაო-გვატემალა	0:0
ბარბადოსი-დომინიკა	1:1
პანამა-დომინიკანები	3:0
კანადა-სურინამი	4:0
სალვადორი-ატიგუა და ბარდუბა	3:0

აზია

თურქმენეთი-ლიბანი	3:2

ჩოგბურთი

ხოლან გაროსი

კაცები

ზვერევი-ფოკინა	6:4,6:1,6:1
ციციპასი-მედვედევი	6:3,7:6,7:5

ქალები

ჟიდანჩეკი-ბადოსა	7:5,4:6,8:6
რიბაკინა-პავლუჩენკოვა	7:6,2:6,7:9

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

ენძელა, დარეჯან, დალი, პეტრე ბერაიები რძლებით, სიძეებით, შვილებით, შვილიშვილებით მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი მეგობრის გივი აბდუშელიშვილის ძმის

ოთარ აბდუშელიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. კულტურის დაქვეითება, დაცემა; 2. მაღალხარისხოვანი, არომატული სპირტიანი სასმელი; 3. ყველაზე დიდი ქალაქი ბასკეთში; 4. ბუღალტერიაში სხვაობა შემოსავალ-გასავლის ჯამებს შორის; 5. ინდოელი მოჭადრაკე მამაკაცი, დიდოსტატი; 11. ესპანური წარმოშობის ფრანგი მხატვარი; 12. ნოტიო, თიხნარი ნიადაგი; 14. გერმანელი მიკრობიოლოგი, ეპიდემიოლოგიის ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 16. მესაქონლეობის ფერმის მფლობელი სამხრეთ ამერიკაში; 17. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ჯიში; 19. ავადმყოფური სიმპტომების დროებით შესუსტება; 21. ცხენის ერთგვარი სვლა; 22. ორელექტროდიანი ელექტროვაკუუმური ნათურა.

თარაზულად: 1. იუმორისტული მოთხრობა; 7. საბჭოთა ბელადი; 8. პორტატიული მფრინავი აპარატი; 9. მშვიდი, უშფოთველი ცხოვრება; 10. ისტორიული ქალაქი სირიაში; 13. წლოვანება; 15. მოედანი ლონდონში; 18. სახალხო მთქმელი, პოეტი-მომღერალი უკრაინაში; 20. ბრიტანული არაყი; 21. ნიადაგის ღრმად გამაფხვიერებელი კულტივატორი; 23. ურთიერთდათმობით მიღწეული შეთანხმება; 24. სამონასტრო კომპლექსი კახეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დოჟი; 2. იარდი; 3. ირისი; 4. ქინთი; 5. ბუსოლი; 6. ძეფირელი; 8. იმპიჩმენტი; 10. ტრუსკავეცი; 11. პერგამონი; 14. საბვეი; 15. დევიზი; 16. კატაი.

თარაზულად: 1. დუაიენი; 4. ქობულაძე; 7. ჟიური; 9. ფიატი; 12. ლინატე; 13. შპრეე; 14. სკეტჩი; 17. დილემა; 18. დიელექტრიკი; 19. კიელინი; 20 ჩინური.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბატერფლაი; 2. არჩვაძე; 3. ლინატე; 4. მანგო; 5. ფლირტი; 11. გვრინი; 12. აგუერო; 14. ჯინი; 16. პროტონი; 17. ტყიბული; 19. ტროტილი; 21. სიდრი; 22. ფეტვი.

თარაზულად: 6. პამპერსი; 7. სტაპელი; 8. გაგრა; 9. ორბიტა; 10. ტანგო; 13. ბანჯო; 15. სპირიჩუელი; 18. ლიბრეტო; 20. ყუმი; 21. სუდოკუ; 23. ჰიპერტონია; 24. ლაზერი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

10 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1387

ევრო — 3.8273

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.4500

100 რუსული რუბლი — 4.3520

ამინდის პროგნოზი 10 ივნისისათვის

რამოსის მომავალი გუნდი გარკვეული არ არის



მადრიდის რეალის კაპიტანი სერხიო რამოსი, შესაძლოა, რეალში დარჩეს, რადგან მან გადაწყვეტილება შეცვალა და რეალისგან შესაბამის წინადადებას ელოდება.

სეზონის განმავლობაში ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რამოსი გუნდიდან აუცილებლად წავიდოდა. როგორც ჩანს, რამოსმა ვერ შეძლო თავისთვის სასურველი გუნდის პოვნა და ამის გამო ის რეალში დარჩენას აპირებს.

უსმან დემბელე ბარსელონაში რჩება

ბარსელონის ფრანგი ფორვარდი უსმან დემბელე, დიდი ალბათობით, გუნდში დარჩება და ის ბარსელონასთან ახალი კონტრაქტის თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს. დემბელეს ამჟამინდელი კონტრაქტი ერთ წელიწადში უმთავრდება და, ახალი ხელშეკრულების მიხედვით, მას ხელფასი შედარებით მცირე ექნება, მაგრამ დემბელე ამ პირობების წინააღმდეგი არ არის.



ლეონარდო ბონუჩიმ ალეგრიზე ისაუბრა

იუვენტუსის ცენტრალურმა მცველმა ლეონარდო ბონუჩიმ მასიმილიანო ალეგრის გუნდში დაბრუნებაზე ისაუბრა და თქვა რომ ალეგრის დაბრუნება იუვენტუსისთვის კარგი იქნება, რადგან მასიმილიანო ფეხბურთელებს კარგად იცნობს:

– ალეგრიზე მხოლოდ დადებითად საუბარი შემიძლია, რადგან მასთან მუშაობა ყოველთვის სასიამოვნო იყო. იმედი მაქვს, ის დაუბრუნებს გუნდს ძველ დიდებას და იუვენტუსი მომავალ სეზონში გულშემატკივარს კვლავ გაახარებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ქალმა უზარმაზარი გველი შიშველი ხელებით დაიჭირა

ვიეტნამის მკვიდრმა ქალმა უზარმაზარი გველი შიშველი ხელებით დაიჭირა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ინდურმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

თვითმხილველის მიერ გადაღებულ ვიდეოში ჩანს, თუ როგორ იჭერს გზის პირას სამედიცინო ნიღბიანი ქალი გველს. ქვეწარმავალი იკლაკნება, თავის განთავისუფლებას და მასზე თავდასხმას ცდილობს, მაგრამ ქალი მოხერხებულად იცილებს მის შეტევებს და იმორჩილებს.

ვიდეორგოლის ბოლოს ვიეტნამელი მიდის და ნაწილობრივ წელზე შემოხვეული გველიც თან მიჰყავს.

– ქუჩაში მივდიოდით და შევნიშნეთ ქალი, რომელიც დიდი გველის დაჭერას ცდილობდა. ჩვენ გადავწყვიტეთ გავჩერებულიყავით და ეს მომენტი ვიდეოზე გადაგვეღო. მისი ქცევა საკმაოდ სარისკოდ გამოიყურებოდა, – განაცხადა ვიდეოს ავტორმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

10 ივნისისათვის



ვერძი – პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. **კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **ტყუპები** – აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კირჩხიბი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – კომერციული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. გარისკეთ. არ ინანებთ. ეს ყველაფერი თქვენს შემოქმედებით ზრდასა და ავტორიტეტზე დადებით გავლენას მოახდენს. **ქალწული** – მშობლებისა და ბავშვების მიმართ მეტი ლოიალობა გამოიჩინეთ. ეს დღე ერთგვარი გამოცდა იქნება. **სასწორი** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ღრიანკალი** – დაისვენეთ და გაერთეთ მშვიდ გარემოში. საღამოს საინტერესო ახალ ამბავს გაიგებთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **თხის რქა** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ნერვებს გაუფრთხილდით და ნუ გადაიღლებით. ეცადეთ, იყოთ დამოუკიდებელი და სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ მართოთ. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** – თუ საჭიროდ მიიჩნევთ, ბოდიშიც მოიხადეთ. დათმობა, მიმტევებლობა, ლოიალობა დღის დევიზია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ქალი კაცს ეუბნება:

– შენ დამპირდი, რომ ამ ზაფხულს დავქორწინდებოდით.

– მოდით, ვიყოთ გულახდილები... აბა, განა ეს ზაფხულია?

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

– გოგო, რატომ არ თხოვდები?

– იცი, ამას წინათ განცხადება გამოვაქვეყნე: „ვეძებ ცხოვრების ერთგულ თანამგზავრს“...

– მერე?

– მერე ის, რომ მხოლოდ ცხოველთა თავშესაფრიდან დამიკავშირდნენ.

●●●

ათლეტური აღნაგობის ტიპი შედის რესტორანში. ადმინისტრატორი ეკითხება:

– რა გნებავთ?

– დაცვაში მინდა ვიმუშაო.

– და რა შეგიძლიათ?

– უყურეთ...

უპასუხა ტიპმა, შევიდა დარბაზში, მივიდა ერთ-ერთ მაგიდასთან, იქ მჯდომ მამაკაცს ცალი ხელი კისერში ჩაავლო, მეორე ფეხებში და ფანჯრიდან მოისროლა მერე ადმინისტრატორს მიუბრუნდა და ეკითხება:

– აბა, როგორია?

– ჰოო! პრინციპში, ნორმალურია. ახლა რესტორნის პატრონი უკან შემობრუნდება და მერე გავაგრძელოთ საუბარი.

●●●

სკოლიდან სახლში დაბრუნებულ შვილს მამა ეკითხება:

– აბა, შვილო, როგორ არის სკოლაში საქმეები?

– რა უნდა გიპასუხო, მამა, მთავარია, ყველანი ცოცხლები და ჯანმრთელები ვართ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოტოციკლისტი დათვთან შეჯახებამ იმსხვერპლა

ამერიკის კონეკტიკუტის შტატის ქალაქ პლიმუთის მცხოვრები მოტოციკლით დათვს დაეჯახა და დაიღუპა.

შაბათს, 5 ივნისის დილით, 65 წლის თომას კოვალიკი ქალაქ ჰარვინგტონში ტრასაზე 1995 წლის გამოშვების ჰარლეი-დევიდსონის მოტოციკლით მიდიოდა და დათვს შეასკდა.

შეჯახების შედეგად მამაკაცი მოტოციკლიდან გზის საფარზე გადმოვარდა. დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს. ხოლო თუ რა დაემართა დათვს, ამის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მამუკა ლომაშვილი ამერიკაში წავიდა

საბავშვო სტუდია „მაჩაბელას“ დამაარსებელი მამუკა ლომაშვილი ამერიკაში წავიდა. რეჟისორი იმ ათასობით ემიგრანტთა რიცხვს შეუერთდა, რომლებმაც სამშობლო გადაუდებელი აუცილებლობის გამო დატოვეს.

მამუკას საქართველოდან წასვლა მისმა მეგობრებმა, „მაჩაბელას“ აღსაზრდელების მშობლებმა „გააპროტესტეს“, რადგან, მათი აზრით, ძალიან სამწუხაროა, როცა სამშობლოს ნიჭიერი ადამიანები ტოვებენ.

გიორგი ნადიბაიძემ პირველი კლიპი წარადგინა

მუსიკალური შოუს „ვოისის“ ერთ-ერთი სეზონის გამარჯვებულმა, მომღერალმა გიორგი ნადიბაიძემ მსმენელს პირველი კლიპი წარუდგინა.

სიმღერას „შენთან ერთად“ ჰქვია და მისი ავტორი კომპოზიტორი ლილიკო ნემსაძეა, ტექსტი კი ირინა სანიკიძემ დაწერა:

– ჩემთვის ძალიან საპასუხისმგებლო იყო პირველი მუსიკალური ვიდეოს გაკეთება. ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, ჩემი კონცეფციითა და გემოვნებით გამეკეთებინა. იმედი მაქვს, მოგეწონებათ და შეიყვარებთ. დიდი მადლობა იმ ადამიანებს, რომლებმაც იმუშავეს სიმღერასა და კლიპზე.

გია როინიშვილი კინომსახიობთა თეატრში დაბრუნდა

მსახიობი გია როინიშვილი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში დაბრუნდა.

მსახიობი თავის ახალ სპექტაკლში მისმა შვილმა, რეჟისორმა კოკო როინიშვილმა მიიწვია:

– მრავალი წლის შემდეგ დაიწყო ჩემი რეპეტიციები ახალგაზრდა კოლეგებთან ერთად თუმანიშვილის თეატრში – ვუდი ალენის „კუგელმასი“. დამდგმელი რეჟისორი კოკო როინიშვილი. ვღელავ? – კი, ძალიან ვღელავ მრავალ მიზეზთა გამო. ვნახოთ, რა გამოვა.

გურამ შეროზია და მარიამ კახელიშვილი დუეტში ამღერდნენ



ლექტორი გურამ შეროზია და მომღერალი მარიამ კახელიშვილი დუეტში ამღერდნენ. ეს არის მესამე დუეტი გურამ შეროზიასთვის. მალიბუ ტუღუშისა და ბარბარა სამხარაძის შემდეგ გურამმა არჩევანი მარიამ კახელიშვილზე შეაჩერა:

– და აი, ასე! დროა, ახალ დუეტსაც აეხადოს ფარდა.

მარიამ კახელიშვილის 11 წლის წინანდელი ნამღერი „ნიჭიერში“ ახლაც გუშინდელ დღესავით მახსოვს!

ჰოდა, იმდენად მაგარი გოგოა, რომ მისმა ხმამ სიმსუყითა და გემრიელობით აავსო სიმღერა, რომელიც ამჯერად ბედნიერ მოგონებებსა და ლამაზ წუთებს ეხება იმ ადამიანებთან, რომლებიც წავიდნენ, მაგრამ ლამაზი კვალი დაგვიტოვეს. ისეთივე თბილი და ჰაეროვანი სიმღერაა, როგორიც ეს ფოტო და ადგილი. დაელოდეთ. „გვიყვარდა“ – მალე!

ნიკოლოზ წულუკიძე თეატრების პრობლემებზე საუბარს იწყებს

თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე საქართველოს თეატრებში არსებულ პრობლემებზე იწყებს საუბარს:

– 15 წელია, თითქმის არ ყოფილა ქართულ თეატრში მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელზეც გადაცემა თუ არა, სიუჟეტი მაინც არ გაგვეკეთებინოს, არ გამოგვიტოვებია არავის დაბადების დღე, პრემიერა, ვარსკვლავის გახსნა, საიუბილეო თუ ხსოვნის საღამო. ალბათ ამიტომაც დამერქვა ყველაზე კეთილგანწყობილი თეატრმცოდნე...

მაგრამ ახლა დადგა დრო, თუ დაგვიანებული არ არის, როდესაც უნდა ვილაპარაკოთ იმ პრობლემებზე, რომლებიც ხელს უშლის თეატრალური პროცესების განვითარებას. სამწუხაროდ, პრობლემა ჩვენშია, თეატრალებში და სისტემაშიც. ამ თემაზე ვიწყებთ გადაცემათა ციკლს „თეატრი დღეს“. ნებისმიერ თეატრალს შეგიძლიათ, ჩაერთოთ პირდაპირ ეთერში და დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია „იმედის დღეში“.

ტრიო „სამაიას“ ალბომი გამოცემულია

უფროსი თაობის მსმენელისთვის ერთ-ერთი გამორჩეულად საყვარელი ტრიოს „სამაიას“ ალბომი გამოცემულია. ტრიო ინოლა გურგულიას, გიული დარახველიძისა და მედეა სიხარულიძის შემადგენლობით უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა.

სასიხარულო ინფორმაცია ინოლა გურგულიას შვილმა დავით შუღლიაშვილმა გაავრცელა:

– ტრიო „სამაია“ – ინოლა გურგულია, გიული დარახველიძე, მედეა სიხარულიძე. ინოლას სიმღერები – „არ დავბერდები“ – საარქივო ჩანაწერების აუდიოდისკისა და სანოტო კრებულის პრეზენტაცია-კონცერტი „მზიურის“ ბაღში, ამფითეატრში ღია ცის ქვეშ 13 ივნისს გაიმართება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 2. მამათა მონასტერი; 3. კანიონი ხონის რაიონში; 4. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 5. „ფორმულა-1-ში“ მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 6. სოხუმის აეროპორტი; 8. მწერების შემსწავლელი მეცნიერი; 10. ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 11. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 14. ფრანგული პური; 15. ნიადაგის დამამუშავებელი იარაღი; 16. ვულკანიდან ამოფრქვეული სილიკატური მასა.

თარაზულად: 1. წითელ ღვინოში ჩამბალი პურის ნაჭრებით მომზადებული შეჭამანდი; 4. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 7. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 9. ავსტრალიური ველური ძაღლი; 12. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 13. ხელოვნური მარმარილო; 14. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 17. კურკოვანი ხილი; 18. პირობითი, საიდუმლო ნიშნებით შედგენილი ბარათი; 19. პატარა საოქრომჭედლო გრდემლი; 20. იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შეტანილი სვანური სოფელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა